CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 20 მაისი, 2009 წელი. №110 (2148) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

### ოპოზიციის მრავალმხრივი პროტესტი

A1



### ისრაელისა და ამერიკის განსხვავებული პრიორიტეტები

A7



gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქციას იწყებს

A3

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ბლეფი არგუმენტებით

დიმიტრი ავალიანი

*გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებამ, რომლის სახელწოდებაში არც აფხაზეთი და არც საქართველო ნახსენები აღარ არის, რუსული მხარის და მარიონეტული რეჟიმების კმაყოფილება გამოიწვია. თბილისში უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ რუსეთი გაერო-ზე ზეწოლას ახორციელებს. თუმცა აცხადებენ, რომ მოხსენების ტექსტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი დაცულია. მოხსენების გამოქვეყნებას ჟენევის დისკუსიების მეხუთე რაუნდის განახლება მოჰყვა. ქართული მხარის წინადადებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის შესახებ, რუსულმა მხარემ მწვავე რეაქციით და უცენზურო სიტყვებით უპასუხა, თუმცა საერთაშორისო შუამავლებმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს. მოსკოვი, თავის მხრივ, თბილისისგან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებაზე ხელის მოწერას მოითხოვს. ამ საკითხების განხილვას მხარეები 1 ივლისს დაუბრუნდებიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP ' 2009

ბან კი მუნი

# სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

### ოქროს პალმის რტოს ლაურეატები კანში - ლარს ფონ ტრიერი და კენ ლოუჩი

ნინია კაკაბაძე
**კანიდან**

ლარს ფონ ტრიერი, რომელიც წელს კანის ფესტივალზე ისევ ჩამოვიდა, ის აღარ არის, რომელიც ოდესღაც "დოგმა 95"-ის სახელით, ჭრელი ავტობუსით მიადგა კანის ფესტივალის წითელ ხალიჩას და იმ წელს დანიელმა "ხულიგანმა" მთავარი ჯილდოც წამოიღო, ფილმისათვის "ტალღების გაპობისას". მას შემდეგ ის კიდევ ბევრჯერ იყო ნომინირებული და დაჯილდოებული კანის ფესტივალზე. 2 წლიანი ღრმა დეპრესიის შემდეგ, ის ისევ ფილმს იღებს და ისევ კანში ჩამოდის, მხოლოდ ამჯერად ინტერვიუს მიცემისას, ხელი, რომელშიც მიკროფონი უჭირავს, საშინლად უკანკალებს. მის ნევროზსა თუ დეპრესიაზე ყველა საუბრობს, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა იყო, და სავარაუდოდ ჯერ ისევ არის, ამ დეპრესიის მიზეზი. ფონ ტრიერის უკანასკნელი ფილმი იმ კივილივით არის, რომელიც დეპრესიის, ნევროზის დროს ადამიანს ყველაზე მეტად სურს.

გაგრძელება A10



კენ ლოუჩი ახალი ფილმის გადაღებებზე.

### მიხეილ სააკაშვილმა დაფნის საშრობი საწარმო და თევზსაჭერი კომპანია მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ "საქართველოს ათასწლეულის ფონდის" ფარგლებში დაფინანსებულ დაფნის საშრობ საწარმოს და თევზსაჭერ კომპანიას ესტუმრა. სენაკში არსებულ დაფნის საშრობი-გადამამუშავებელ საწარმოში, 55 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა, პროდუქციის ჩაბარებითა და რეალიზაციით კი არაპირდაპირი სარგებელი 350-მა ადგილობრივმა ფერმერმა მიიღო.

"მადაი" კი თევჭერისა და თევზის გადამამუშავებელი კომპანიაა, რომელიც შავ ზღვაში თევზჭერის 10-წლიან სახელმწიფო ლიცენზიასფლობს.

საწარმოების მონახულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ფოთის მოსახლეობას შეხვდა. "ბოლო წლებში ჩვენ მტკივნეული რეფორმების გატარება და ამის გამო ბევრი ადამიანის გადაკიდება მოგვიწია. მე სულაც არ მიხარია, რომ თბილისში 50 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ადრე მთელი საბაჟო თბილისში იყო, 20 ლარიანი მებაჟე დადიოდა და პრაქტიკულად თქვენს ხარჯზე მუშაობდა და თქვენს საჭმელს ჭამდა. ის ფაქტი, რომ ის ადამიანი დღეს მთავრობაზე გაბრაზებულია და სააკაშვილი ეზიზღება, მე საერთოდ არ მიკვირს და მართალი გითხრათ, არც მწყინს, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ სწორი ნაბიჯი გადავდგით. მე ამაზე ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ," - განაცხადა პრეზიდენტმა ფოთელებთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, "ახლა ყოფილი პოლიციელი, ყოფილი მებაჟე, ყოფილი რაიკომის მდივანი და მისი შვილი დადიან და საქართველოს უკან დაბრუნებას აქტიურად ცდილობენ". "არაფერი გამოუვათ! ჩვენ დიდი უბედურება და გაჭირვება ვიწვნიეთ და ამას აღარ გავიმეორებთ," - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცალსახად აცხადებს, რომ "ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოში ვერასდროს ვერავინ ველარ გადაკეტოს პორტები, აეროპორტები, რკინიგზა და მაგისტრალები". პრეზიდენტის განცხადებით, იგი "ხალხისთვის ცხოვრების გამწარების და ქვეყნის განვითარებაში ხელისშეშლის შესაძლებლობას არავის მისცემს."

ფოთში მყოფნა პრეზიდენტამა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა ოპოზიციის რადიკალური ფრთა და პიკეტერიბებთან დაკავშირებული ოპოზიციის სამოქმედო გეგმები. აღნიშნულ თემაზე საუბრისას პრეზიდენტმა რუსეთის სამხედრო აგრესია გაიხსენა და აღნიშნა, რომ "როცა ფოთის პორტს დაბომბვის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, იმისთვის, რომ პორტი არ გაჩერებულიყო, ადამიანებს მუშაობა არ შეუჩერებიათ, რის შედეგადაც ცხრა ფოთელმა თავი გმირულად გაწირა." "არიან ადამინები, რომლებიც ამბობენ, "უნდა გადავკეტოთ პორტები, აეროპორტები, მაგისტრალები, გზები, იმიტომ, რომ სკამები გვინდა" და არიან ადამიანები, რომლებიც იდგნენ აქ და ერთი წუთით არ მიუტოვებიათ სამსახური, როცა რუსები მათ ქალაქს ბომბავდნენ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველოში ვერასდროს ვერავინ ველარ გადაკეტოს პორტები, აეროპორტები, რკინიგზა და მაგისტრალები," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აქვე დასძინა, რომ "ის, რაც საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება, სიმშვიდე, განვითარება და ერთობაა". პრეზიდენტმა პარალელი 90-იანი წლების დასაწყისში სამტრედიის რკინიგზის ბლოკადასთან გაავლო, რომელიც თავის დროზე რუსეთის წინააღმეგ იყო მიმართული და განაცხადა, რომ "სამტრედიაში რკინიგზის თვითბლოკადა გამოცხადდა მაშინ, როცა ბალტიისპირეთის ქვეყნებმა პირიქით გააკეთეს და რაც შეეძლოთ, ყველაფერი გამოწოვეს რუსეთს". პრეზიდენტმა აღნიშნა ისიც, რომ "ხელისუფლებას ეკონომიკის ჩიხში შეყვანაში "სწორედ ის ადამიანები ადანაშაულებენ, რომლებმაც თავის დროზე გაანიავეს სახელმწიფოს ქონება, ჯართად დაყიდეს ქარხნები და "რა პოტენციალიაც გააჩნდა ქვეყანას, ყველაფერი დაშალეს და გაასხვისეს."

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მონაცემებით, "ბანდიტი გელაშვილი რადიკალების დამფინანსებელი და ლიდერია". მან ვრცლად ისაუბრა საკუთარი წინამორბედის - ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობაზე და მის შედეგებზე და აღნიშნა, რომ "წინამორბედმა მთავრობამ საქართველოს ქონება გააჩანაგა, მიწასთან გაასწორა და გაყიდა". "ახლა, როდესაც ჩემი წინამორბედი გამოდის და ჭკუას გვარიგებს, მინდა, ყველამ კარგად გავიხსენოთ, რა გააკეთა ამ კაცმა. როდესაც შევარდნაძე 1992 წლიდან საქართველოში დაბრუნდა, 2004 წლამდე, ანუ ხელისუფლებაში ჩვენს მოსვლამდე ჩვენი მთავარი საექსპორტო პროდუქტი ჯართი იყო. როდესაც საზღვარგარეთ დავდივარ, ყველა კითხულობს, ხომ არ შეუძლია საქართველოს მათთვის "კომეტების" მიწოდება. საქართველოში გამოშვებული "კომეტები" ყველას ახსოვს. პირადად მე მივლია საბერძნეთში ამ "კომეტით". აქ ეს ყველაფერი ხელში ჩაიგდეს ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი - ბანდიტმა გელაშვილმა, რომელიც ახლა რადიკალების დამფინანსებელი და ლიდერია," - აღნიშნა პრეზიდენტმა. მან "კარგად იცის, ვინ აფინანსებს 9 აპრილის საორგანიზაციო შტაბში შემავალ არასაპარლამენტოი ოპოზიციურ პარტიებს" და დარწმუნებულია, რომ "ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას ვერავინ შეძლებს".

"ინვესტიციების შემოდინებისთვის ძალიან ბევრი მუშაობა გვჭირდება, თუმცა ამისთვის ქვეყნის სტაბილურობა და სიმშვიდეა აუცილებელი და არა პოლიტიკური რყევები და გადატრიალების მცდელობების იმიტირება, თორემ გადატრიალებას ვერავინ შეძლებს!", - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მას "კარგად ესმის ქუჩაში გასული ადამიანების გაჭირვების და მოუთმენლობის", თუმცა მიიჩნევს, რომ "ქვეყანას ეხლა სჭირდება დიალოგი".

"ქუჩაში გასული ხალხის მშვენივრად მესმის, მაგრამ როგორი რადიკალურიც არ უნდა იყო და როგორი პირადი ამბიციებიც არ უნდა გამოძრავებდეს, როგორ შეიძლება, 50 ლარს იხდიდე და ადამიანებს ღამეს ქუჩაში ათენებინებდე?! დააპურე და გაუშვი რა სახლში! თან ისიც კარგად ვიცი, ვისგან იღებენ ამ ფულს," - განმარტა პრეზიდენტმა, თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიციის ფინანსური წყარო არ დაუკონკრეტებია.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა საერთო მაჩვენებელი 20 პროცენტამდე შემცირდა. როგორც გუშინ ფოთში გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, "საქართველოს მოსახლეობის 54 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა, დღეს კი ამ კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა 20 პროცენტზე ცოტა მეტია".

"მიუხედავად ამისა, ეს მაინც ძალიან ბევრია, - ეს არის მილიონზე მეტი ადამიანი და ამ კუთხით მთავრობას ძალიან ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

*პირველი*

# ოპოზიციის მრავალმხრივი პროტესტი


AFP ' 2009

*აქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობასთან*

დათო გამისონია

*საპროტესტო დემონსტრაციების დაწყებიდან 40 დღის შემდეგ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები და მხარდამჭერები კვლავ საავტომობილო გზების გადაკეტვითა და სახელმწიფო დაწესებულებებთან მასობრივი შეკრებების გამართვით არიან დაკავებულნი. გუშინ მათ პროტესტი შსს-ს ახალ შენობასთან გამოხატეს - სწორედ იქ, სადაც რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტი და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან ოპოზიციის მხარდამჭერი მანიფესტანტები დროშებითა და ავტომობილებით, დაახლოებით, 15:00 საათზე გამოჩნდნენ. იქვე იმყოფებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერიც. მათი მოწოდებით, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა აეროპორტისკენ მიმავალი გზატკეცილი 30 წუთით გადაკეტეს. **პირველი ნაბიჯი ჩვენი მხრიდან ის იქნება, რომ მერაბიშვილს, ამ ხელისუფლების ხერხემალს, გადავტეხავთ და მას სააკაშვილთან ერთად გავისტუმრებთ,** - განაცხადა ალიანსი საქართველოსთვის თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ. საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა განმარტეს, თუ რატომ გადაწყვიტეს პროტესტის გამოხატვა შსს-ს ახალ შენობასთან. **პოლიციის შენობა ჩვენ არ აგვირჩევია, ის მიხეილ სააკაშვილმა აირჩია, როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებს ამ შენობაში შეხვდა. არც ერთ ცივილურ ქვეყანაში პრეზიდენტი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს პოლიციის შენობაში არ ხვდება,** - აღნიშნა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

შსს-ს ახალი შენობიდან მანიფესტანტები სამინისტროს ძველი შენობისკენ დაიძრნენ. მათ სიტყვიერი შელაპარაკება ჰქონდათ საავტომობილო მოძრაობის შეფერხებით უკმაყოფილო რამდენიმე მოქალაქესთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პროტესტის გამოხატვიდან, დაახლოებით, ერთ საათში რამდენიმე ასეული მოქალაქე მთავრობის კანცელარიასთან შეიკრიბა. ამჯერად ალიანსი საქართველოსთვის ინიციატივით შეკრებილ მოქალაქეებს არ მოუთხოვიათ ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის პირის გადადგომა. გუშინ მთავრობის კანცელარიასთან ბანკების მოვალეები შეიკრიბნენ. მათი მოთხოვნით, სახელმწიფო კერძო ბანკებს იმ კუთხით უნდა დაეხმაროს, რომ ბანკებმა მოვალეებს აღებული კრედიტების პროცენტების დაბრუნება ერთი წლით მაინც გადაუვადონ. ამ პრობლემის დასაძლევად ალასანიას ალიანსმა უკვე შექმნა ბანკების მოვალეთა კომიტეტი და მასში, დაახლოებით, 1600 ადამიანია გაერთიანებული. თუმცა ალიანსი საქართველოსთვის წევრმა მანანა ნაჭყებიამ განმარტა, რომ ანალოგიური პრობლემები საქართველოში 150 ათასამდე მოქალაქეს აქვს. მთავრობის კანცელარიასთან შეკრებილმა ბანკების მოვალეთა კომიტეტის წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის აპარატს განცხადება ჩააბარეს. **აგვისტოს ომმა, შემდგომ კი ეკონომიკურმა კრიზისმა ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბა, რადგან შემოსავლების გარეშე დარჩნენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. ამის გამო ისინი ბანკებიდან აღებულ კრედიტებს ველარ აბრუნებენ, რაც საფრთხეს უქმნის ბანკებისა და ბიზნესის განვითარებას. ამიტომ მთავრობამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. სახელმწიფო ვალდებულია, ფინანსური კრიზისის დროს რაციონალურად გამოიყენოს სახელმწიფო ბიუჯეტი და უცხოეთიდან მიღებული დახმარება,** - აღნიშნულია ბანკების მოვალეთა კომიტეტის განცხადებაში.

### საინფორმაციო მიტინგი

გუშინ პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო მიტინგი 18:00 საათზე განახლდა. რუსთაველის გამზირზე შეკრებილ დემონსტრანტებს ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ ბრიუსელიდან დაბრუნებულმა საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა: **ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საქმე, რომელიც ჩვენი გასაკეთებელია, თვითონ უნდა გავაკეთოთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იზოლაციაში უნდა ვიყოთ და ვიფიქროთ, რომ მარტო ვართ და მთელი მსოფლიო გვიპირისპირდება.** ზურაბიშვილის თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების მუშაობის შედეგად ევროკავშირის ოფისში ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ოპოზიცია დაშლილი და უპასუხისმგებლოა. ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ 40 წუთის განმავლობაში ესაუბრა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელს ხავიერ სოლანას და განუმარტა, რომ ოპოზიცია კონსტიტუციის ჩარჩოებში მოქმედებს. საქართველოს გზის" ლიდერის თქმით, ხავიერ სოლანასთან შეხვედრამ ნათელი გახადა, რომ საქართველოში მიმდინარე საპროტესტო მუხტისადმი დაინტერესება არსებობს.

მემარჯვენეების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ კი, მიტინგზე გამოსვლისას, არასაპარლამენტო ოპოზიციის უახლოესი დღეების გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, დღეს ოპოზიციის ლიდერები აჭარაში გაემგზავრებიან და ბათუმში მასშტაბურ მიტინგს ჩაატარებენ. დღესვე ბათუმში გაიმართება მომღერალ გია გაჩეჩილაძის კონცერტი. გარდა ამისა, უცნობი 21 მაისს ქუთაისსა და ზუგდიდში ჩაატარებს აქცია-კონცერტებს.

### ბურჯანაძე პრეზიდენტს სასამართლოში უჩივლებს

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს. მისი თქმით, პრეზიდენტმა ოპოზიციის ლიდერებისა და ხელისუფლების შეხვედრაზე ღიად განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძე რუსეთის ინტერესების გამტარებელი და რუსეთისგან დაფინანსებული პოლიტიკოსია. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დასძინა, რომ ცილისწამებისთვის საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელი მოამზადა, რომელსაც უახლოეს დღეებში სასამართლოში შეიტანს. **მას მოუწევს ან დაამტკიცოს ეს აბსურდული ბრალდება, ან პასუხი აგოს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის,** - განაცხადა ბურჯანაძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ბლეფი არგუმენტებით

პირველი გვერდიდან

### მაამებელი სათაური

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მოხსენება აფხაზეთში შექნილი მდგომარეობის შესახებ, უშიშროების საბჭოს 18 მაისს, გვიან საღამოს წარუდგინა. მისი შინაარსი ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა ცნობილია, რომ დოკუმენტის სათაურია **"გენერალური მდივნის მოხსენება, წარმოდგენილი უშიშროების საბჭოს 1808, 1839 და 1866-ე რეზულუციების თანახმად."** აფხაზური მხარის კმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ დოკუმენტის სახელწოდებაში, წინა მოხსენებისგან განსხვავებით, არ არის ნახსენები **"აფხაზეთი, საქართველო."**

სოხუმის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, დოკუმენტიდან ამოღებულია **"ყველა ფორმულირება, რომელთა წინააღმდეგ აფხაზური მხარე გამოდიოდა."** შესაბამისად, მისი თქმით, აღარ არსებობს წინააღმდეგობები ჟენევის მოლაპარაკებებში აფხაზური მხარის მონაწილეობისთვის.

მოხსენების ამ სახით მიღებამ რუსული მედიისა და ოფიციოზის აღფრთოვანება გამოიწვია. იმავდროულად, საქართველოს ელჩმა გაერო-ში ალექსანდრე ლომაიამ განაცხადა, რომ გენერალური მდივნის მოხსენება ეჭვქვეშ არ აყენებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენება შუალედური დოკუმენტია და გადამწყვეტი მნიშვნელობა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ენიჭება, რომელიც 15 ივნისს უნდა მიიღონ. საგარეო უწყებამ ჯერ ოფიციალურად გამოუქვეყნებელი დოკუმენტის დეტალური კომენტირებისგან თავი შეიკავა, თუმცა, ვაშაძის თქმით, ის შეიცავს რამდენიმე მომენტს, რომლებიც აშკარად რუსეთის ზეწოლით არის შეტანილი.

მისი თქმით, რუსეთის საბოლოო მიზანი საქართველოში გაერო-ს მისიის საქმიანობის შეჩერებაა. **"მას არ სჭირდება მოწმეები, საერთაშორისო დამკვირვებლები და ობიექტური მონიტორინგი, რომელიც დააფიქსირებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს და საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევებს,"** - აღნიშნა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, თბილისი არასდროს დაუშვებს რაიმე კომპრომისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში და **"არ მისცემს რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე მის მიერ შექმნილი ორი ბანტუსტანის ლეგალიზაციის შესაძლებლობას."**

როგორც, თავის მხრივ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, ბან კი მუნის მოხსენებაში აფხაზური მხარე მკაცრად არის გაფრთხილებული, ხელი არ შეუშალოს გაერო-ს მისიის მუშაობას. ასევე მოყვანილია ქართული მოსახლეობის უფლებების შელახვის და რეგიონის მილიტარიზაციის ფაქტები. **"არგუმენტი, რომელიც რუსეთს მოჰყავს, სრული ბლეფია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს,"** - განაცხადა მინაშვილმა.

### განახლებული მოლაპარაკებები

მას შემდეგ, რაც გაერო-ს გენმდივანმა მოხსენება წარადგინა, აფხაზურმა დელეგაციამ ჟენევის კონსულტაციებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო და მოლაპარაკებებზეც გამოცხადდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებით, ბან კი მუნის მოხსენება **"კორექტულია და აფხაზური მხარისთვის მისაღებია,"** შესაბამისად, მოლაპარაკებები გაგრძელდება. მან განაცხადა, რომ რუსული დელეგაცია, მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენელთა თანხლებით, დისკუსიების მეხუთე რაუნდში მონაწილეობას სრულყოფილად მიიღებს. გუშინ კონსულტაციები ორ ჯგუფში - უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე გაიმართა.

საბოლოოდ, მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ერთადერთი შეთანხმება ის გახდა, რომ მხარეები ერთმანეთს 1 ივლისს უნდა შეხვდნენ. რუსული მხარე კვლავ ცეცხლის განუახლებლობის შესახებ დოკუმენტზე მსჯელობას გეგმავს, ხოლო ქართული მხარე - კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის და ოკუპირებული ტერიტორიების დემილიტარიზაციის საკითხზე. თბილისმა ეს საკითხი ჟენევაში გუშინ დააყენა და საერთაშორისო შუამავლების მხარდაჭერაც მოიპოვა.

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ შემაჯამებელ ბრიფინგზე გუშინდელი მოლაპარაკებები წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. **"მართალია, შედეგი ჯერ სახეზე არ არის, თუმცა პროგრესი შეიმჩნევა, რაც, ჩემი აზრით, საბოლოოდ სერიოზულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში გადაიზრდება,"** - აღნიშნა ვერბეკემ.

**"ჩვენ დღეს ვიმსჯელეთ კონფლიქტურ ზონებში საპოლიციო ძალების შეყვანაზე, თუმცა ეს ერთ დღეში გადასაწყვეტი საკითხი არ არის. მსჯელობა ამ საკითხზე გაგრძელდება,"** - განაცხადა, თავის მხრივ, ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა პიერ მორელმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ რუსეთს კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო საპოლიციო ძალების საკითხის განხილვა არ სურდა, თუმცა ეს საკითხი მაინც იქნა განხილული. **"მიგვაჩნია, რომ საპოლიციო ძალები შექმნილ სიტუაციაში ყველაზე ეფექტური გამოსავალია,"** - აღნიშნა ბოკერიამ.

ქართული მხარის წინადადებას მხარი აშშ-მ დაუჭირა. **"რუსული მხარის არ მესმის. ვერ გავიგე, რატომ ეწინააღმდეგებიან ისინი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესვლას. ეს საშუალებას მოგვცემს, არა მხოლოდ ობიექტური ინფორმაცია, არამედ რეგიონის სტაბილურობის გარანტია მივიღოთ,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ.

თუმცა, რუსულმა მხარემ ამ წინადადებას აღშფოთებით და, პირდაპირი მნიშვნელობით - გინებით უპასუხა. რუსული ენის კარგად მცოდნე ბრაიზას განცხადებით, ყველაზე მეტად იგი რუსული დელეგაციის წევრების მიერ მოლაპარაკების დროს უცენზურო სიტყვების გამოყენებამ აღაშფოთა.

**"ჩემთვის გაუგებარია საპოლიციო ძალების შეყვანის მოთხოვნა. ადგილზე მუშაობენ საერთაშორისო დამკვირვებლები ევროკავშირიდან, ეუთო-დან და გაერო-დან, უსაფრთხოებას კი რუსეთის შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფენ. სხვა ძალების გამოყენება კონტრპროდუქტიული იქნება,"** - განაცხადა შეხვედრის შემდეგ გრიგორი კარასინმა.

მისი თქმით, აუცილებელია, საქართველომ რაც შეიძლება სწრაფად მოაწეროს ხელი დოკუმენტს ძალის არგამოყენების ვალდებულების შესახებ. **"მხოლოდ ეს იქნება გარანტია, რომ გასული წლის აგვისტოს მოვლენები აღარ განმეორდება,"** - აღნიშნა კარასინმა.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გუშინ ერთი საერთო გადაწყვეტილება მაინც იქნა მიღებული - უახლოეს მომავალში სოფელ დვანში, ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფარგლებში, მხარეების მეორე შეხვედრა გაიმართება.

# მინსკი VS მოსკოვი

## ბელარუსის ხელისუფლება სეპარატისტების აღიარებას არ ჩქარობს

ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოს (პარლამენტის) ხელმძღვანელმა ბორის ბატურამ კომენტარი გააკეთა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერ ბორის გრიზლოვის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, **ბელარუსი არ ჩქარობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.**

**სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცნობა-არცნობა მხოლოდ ბელარუსის რესპუბლიკის კომპეტენციას განეკუთვნება. ჩვენ ახლო ურთიერთობები გვაქვს აფხაზ და სამხრეთ ოს ხალხთან, რომლებიც არავის სახით არ საჭიროებენ შუამავალს. ბელარუსები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას და ეს ისეთი გადაწყვეტილება იქნება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას არ გახლეჩს,** - განაცხადა ბატურამ სააგენტო ინტერფაქსისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**რაც შეეხება ბელარუსის პარლამენტის დადანაშაულებას აღიარების ვადების დარღვევის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვადები არასდროს დასახელებულა. ყოველ შემთხვევაში, ბელარუსის მხრიდან,** - ასეთი კომენტარი გააკეთა რესპუბლიკის საბჭოს ხელმძღვანელმა გრიზლოვის განცხადების პასუხად.

**სამაგიეროდ, თებერვალში გამართულ სამოკავშირეო სახელმწიფოს უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე რუსული მხარე, მართლაც, ბევრ რამეს შეჰპირდა ბელარუსს. მაგრამ ყველაფერი როდი კეთდება,** - აღნიშნავს ბატურა. კერძოდ, ის ბოლომდე არდარეგულირებულს უწოდებს საკითხს, რომელიც რუსულ ბაზარზე ბელარუსული საქონლის თანაბარ და თავისუფალ შეღწევას ითვალისწინებს.

**ჩვენი მეწარმეები პრაქტიკაში უამრავ სირთულეს აწყდებიან,** - აცხადებს ბელარუსი სპიკერი.

მისივე თქმით, იურიდიულად დაუკანონებელი რჩება შეთანხმებები, რომლებიც ბუნებრივი აირის საფასურის ანგარისწორებასა და საჯარიმო სანქციებს ეხება. **არანაირი წინსვლა არ იგრძნობა ნავთობზე საბაჟო გადასახადის გაუქმების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადასახადები ეწინააღმდეგება ადრე ხელმოწერილ დოკუმენტებს და სამოკავშირეო სახელმწიფოს კონცეფციას,** - აღნიშნავს ბატურა.

მისი თქმით, რუსულ მხარეს დღემდე არ წარმოუდგენია თავისი ხედვა ბელარუსის წინადადებებზე, რომლებიც რუსული რუბლით ფინანსურ ურთიერთჩათვლების განხორციელებას შეეხება. არადა, რეგიონულ ვალუტად რუსული რუბლის გამოყენების ინიციატივა თავად რუსულ მხარეს ეკუთვნის.

**ჩვენ ვერ ვხედავთ დიდ პროგრესს ისეთ საკითხებში, როგორიც არის სამოკავშირეო სახელმწიფოს საჰაერო საზღვრების ერთობლივი დაცვა და ერთიანი რეგიონული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა. ამ დოკუმენტებით უნდა დასრულდეს ბელარუს-რუსეთის ერთიანი საჰაერო ფარის შექმნის პროცესი,** - აცხადებს ბელარუსი სპიკერი.

*საკუთარი ინფორმაცია*


## კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქციას იწყებს

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** (ყოფილი "თბილისის წყალი") 2009 წლის 20 მაისიდან იწყებს კომუნალური მომსახურების სფეროში უპრეცედენტო აქციას - მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი **დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად მასშტაბურ პროგრამას**.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს და დავალიანების მქონე მოსახლეობას სთავაზობს ორმაგად შეღავათიან რესტრუქტურიზაციას შემდეგი პირობებით:

- პროგრამის მონაწილე ყოველ მომხმარებელს (აბონენტს) კომპანია გაუკეთებს საჩუქარს - ჩამოაწერს დავალიანების საერთო თანხის 20%-ს.
- დავალიანების საერთო თანხის 20% ჩამოეწერება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომლებიც კომპანიას 2009 წლის 30 ივნისის ჩათვლით მიმართავენ განცხადებით.
- დავალიანების დარჩენილი თანხა (20 პროცენტის გამოკლებით) პროგრამის მონაწილეს გაუნაწილდება 3 წლის (36 თვე) განმავლობაში;
- დავალიანების რესტრუქტურიზაცის თაობაზე კომპანია ყოველ აბონენტთან გააფორმებს ინდივიდუალურ შეთანხმებას.
- პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, ყოველთვიურად, დავალიანების ნაწილთან ერთად, მოხმარებული წყლის მიმდინარე გადასახადის სრულად დაფარვა.
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად პროგრამაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს (მოსახლეობა), რომელსაც მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით გარკვეული დავალიანება დაუგროვდა.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** მიმართავს მოსახლეობას, გამოიყენოს მის მიერ შეთავაზებული ხელსაყრელი წინადადება და ჩაერთოს შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში. თავის მხრივ, კომპანია სამომავლოდ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რათა მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობამ არ შეაფერხოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული, გულისხმობს იმასაც, რომ ძველი დავალიანებების რესტრუქტურიზაცია და მათი ეტაპობრივად და დროულად გადახდა სავალდებულო ხდება როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ყველა სხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" **(GWP)** რაიონულ ოფისებს, მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით, შემდეგ მისამართებზე:

1. მარჯანიშვილის გამზ. N 50 - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ოფისი;
2. ვ. ბარნოვის I ჩიხი, N10 - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ოფისი;
3. ნუცუბიძის ქ. N 14? - ვაკე-საბურთალოს რაიონული ოფისი;
4. ჯავახეთის ქ. N22 - ისან-სამგორის რაიონული ოფისი;
5. მეტრო ახმეტელის მიმდ. ტერიტორია, მუხიანისკენ გადასახვევ გზაზე - გლდანი-ნაძალადევის რაიონული ოფისი.

*კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP)*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# დღის შეკითხვა:

## როგორ აფასებთ ჟენევის კონსულტაციების მეხუთე რაუნდს?

**კახა გოგოლაშვილი,** *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტი, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი:*

რუსეთმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი რეალური მიზნები. კერძოდ, აშკარა გახდა, რომ მას მოლაპარაკებების დაწყება არ აინტერესებს.

რუსეთის, ასევე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობებისთვის მოლაპარაკება არის შირმა, რომლითაც ისინი საერთაშორისო თანამეგობრობას, ერთი შეხედვით, აჩვენებენ, რომ კონსტრუქციული დიალოგის მომხრეები არიან, მაგრამ სინამდვილეში, როცა საქმე საქმეზე მიდგება, დიალოგი გადამწყვეტ ფაზაში შევა და რეალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ჩნდება, ისინი მოლაპარაკებების ჩაშლას, გაწელვას ან მისი სულ სხვა მიზნებით გამოყენებას ცდილობენ.

საქართველოს მხარე არასდროს ცდილობდა ამ მოლაპარაკებების გამოყენებას სხვა მიზნებით - იმისათვის, რომ სტატუს კვო ახლავე შეეცვალა. მისი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ რეალურად მოეგვარებინა ის აუცილებელი უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს აწუხებს.

გარდა ამისა, ეს მოლაპარაკებები არის გაგრძელება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს და 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმებებისა. მოლაპარაკებები თანხვედრაშია ამ შეთანხმებებში დასახულ მიზნებთან.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ამ მოლაპარაკებების შეჩერება, მისთვის ხელის შეშლა პირდაპირი არცნობაა იმ შეთანხმებებისა, რომლებსაც რუსეთმა თავად მოაწერა ხელი. ასე რომ, სახეზეა არა მხოლოდ საქართველოს, როგორც პარტნიორის, არამედ მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის და იმ გარანტორების იგნორირება, რომლებიც ამ პროცესის უკან დგანან.

ამ ფორმატის გაგრძელება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ქმედითი იქნება ზეწოლა იმ სუბიექტების მხრიდან (საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროკავშირი, იგივე შეერთებული შტატები), რომელთაც საერთაშორროსო პოლიტიკაში დიდი წონა აქვთ. უპირველესად მხედველობაში მაქვს პოლიტიკური ბერკეტები - ორმხრივი ურთიერთობებისთვის ზიანის მიყენება - და არა საერთაშორისო აზრის კონსოლიდაცია. საერთაშორისო აზრის კონსოლიდაცია რჩება ირიბ ბერკეტად, რომელმაც შეიძლება რუსეთის გრძელვადიან ინტერესებზე ზეგავლენა მოახდინოს.

**თორნიკე შარაშენიძე,** *ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში:*

როდესაც რუსეთმა ნატო-ს წვრთნები გააპროტესტა, უკვე გასაგები იყო, რომ მიზეზს ეძებდა კიდევ რაღაცის გასაფუჭებლად. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ მან ორი რაღაც გააფუჭა - საქართველოში ეუთო-ს მისია დაბლოკა და ჟენევაში მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი ჩაშალა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფრთხილად უნდა იყოს ყველა - ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დაუშვან არეულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს საბაბი მიეცემა და საქართველოში შემოვა.

**ზურაბ დავითაშვილი,** *პოლიტოლოგი:*

არც რუსეთს და არც მის მარიონეტულ რეჟიმებს საერთაშორისო სამართალი არაფრად ულირთ. თანაც, აფხაზების წინასწარი უარი იმას მიანიშნებდა, რომ თავიდანვე გამიზნული იყო მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლა. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ ჟენევის მორიგი რაუნდი შედეგს მოიტანდა. საქართველოს დელეგაციისთვის ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობა ნერვების შლის ტოლფასია. უბრალოდ, ამაზე უარს ვერ ვიტყვით. სხვა შემთხვევაში, ჩვენ გამოვჩნდებით მხარე, რომელიც თავს არიდებს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.

ჩოჩიევის და კარასინის დემარში თანამედროვე დიპლომატიური ეთიკის ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. საერთოდაც, ეს ისეთი თემაა, რომელზეც კომენტარის გაკეთება ჭირს. ქართულ მხარეს ისღა დარჩენია, ჟენევის ფორმატის მხარდაჭერით სამშვიდობო პროცესებისადმი კეთილი ნება გამოხატოს, თორემ ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ დიდ შედეგებს ვერ მოიტანს.

*ესაუბრა ვერიკო თევზაძე*

# "რომელი არჩევნები დაძლევს კრიზისს, ეს მოლაპარაკებების საგანია "

ნათია მსხილაძე

*ოპოზიციის აზრით, თუ ხელისუფლება ადეკვატურ გზას დაადგება, მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის შესაძლებლობა არ გამოირიცხება. 24 საათი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს დავით ბერძენიშვილს ესაუბრა.*

**- როგორ შეაფასებდით წინანდალში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას?**

- პრეზიდენტს თავის პაროდისტ მამუკა ლომაშვილთან დამსგავსების საკითხში სერიოზული წარმატებები აქვს და პრაქტიკულად უზრუნველყო სრული იდენტურობა პაროდისტთან. აშკარად ბაძავს და პაროდისტის უნარიც გამოამჟღავნა. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, იგი აქამდე გაიძახოდა, თუ გინდათ, მსოფლიო კრიზისზე დაგელაპარაკებითო და დედას იფიცებდა, რომ არავითარი არჩევნები არ იქნებაო, თუმცა მან გახსნა საარჩევნო თემა. პრეზიდენტმა დაასახელა ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები, მაგრამ მარტო ეს არჩევნები არ არის მნიშვნელოვანი, რადგან სხვა არჩევნებიც არის ჩასატარებელი.

**- პრეზიდენტმა წინანდალში გაკეთებული განცხადებით უარყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, პარალელურად ხელისუფლება ოპოზიციას კვლავ დიალოგს სთავაზობს. თქვენი აზრით, თანამშრომლობის რა პერსპექტივა არსებობს?**

- ყველამ საჯაროდ აღიარა, რომ ქვეყანაში ძალიან ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. ეკონომიკურ კრიზისს მიხეილ სააკაშვილიც აღიარებს. ამ ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკური ფესვებიც რომ აქვს, ამასაც აღიარებს, როდესაც აცხადებს, საავადმყოფოების პროგრამის განხორციელება ამდენ ხანს იმიტომ ვერ დავიწყეთ, რომ ამ მოვლენების გამო დასავლეთიდან ფული არ იყო წამოსულიო. ეს კი პრაქტიკულად იმის დადასტურებაა, რომ ქვეყანაში ისეთი მოვლენები ხდება, რომლებიც ხელს უშლის ამა თუ იმ პროგრამის რეალიზებას ანუ - ქვეყანაში კრიზისის არსებობას დე ფაქტო აღიარებს, დე იურე არ აღიარებს. მალე მას მოუწევს ადეკვატურობასთან კიდევ უფრო მიახლოვება და კრიზისის ღიად და საჯაროდ აღიარება. როგორც კი სააკაშვილი აღიარებს კრიზისს, მისი დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პოლიტიკური მოლაპარაკებების შედეგად, ანუ კრიზისის დაძლევა შესაძლებელია რეალური არჩევნების გზით.

**- რომელ არჩევნებს გულისხმობთ - ადგილობრივს, საპარლამენტოს თუ საპრეზიდენტოს?**

- კონკრეტულად რომელი არჩევნები დაძლევს კრიზისს, ეს მოლაპარაკებების საგანია. არსებული კრიზისის დაძლევა მხოლოდ პოლიტიკური მოლაპარაკებების შედეგად არის შესაძლებელი. მოლაპარაკება ორ მხარეს შორის იმართება. პრეზიდენტი არ თმობს საპრეზიდენტო ვადამდელ არჩევნებს, მაგრამ ამასთანავე გვეთანხმება, რომ უნდა ჩატარდეს თვითმმართველობის არჩევნები. შუაშია საპარლამენტო არჩევნები, საარჩევნო გარემო. პრეზიდენტმა ზოგადად შემოგვთავაზა საუბარი საარჩევნო თემატიკაზე, ჩვენ კი კონკრეტულად ვთავაზობთ: საარჩევნო რეფორმის დაწყებისთვის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნას ოპოზიციასთან შეთანხმებით და ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, საარჩევნო კოდექსზე სამუშაო ჯგუფის შექმნას, მედიასივრცის გაჯანსაღებას და საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმის დაწყებას. ოპოზიციას მიაჩნია, რომ მასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წევრების დანიშვნა, მეორე არხის" მართვა პოლიტოლოგთა და ექსპერტთა შეთანხმებულ ჯგუფს უნდა გადაეცეს, ტელეკომპანია იმედი" კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდეს და აღმოიფხვრას მაუწყებლობის ლიცენზირების ხელოვნური ბარიერები. ანუ ჩვენ მიერ შეთავაზებული ექვსი პუნქტიდან რა დონეზე და რაზე შევთანხმდებით, ამის მიხედვით დაიძლევა ან ვერ დაიძლევა კრიზისი. ჯერჯერობით სააკაშვილი შორიდან გვივლის, თუმცა ნელ-ნელა უახლოვდება თემატიკას.

თუ ხელისუფლება და მიხეილ სააკაშვილი გააგრძელებენ ადეკვატურობისკენ გზას, ანუ ადეკვატურობის მინიმუმს მაინც მიაღწევენ, მაშინ, საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, მოლაპარაკებები შესაძლებელია.

**- პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქუჩის აქციები თანდათან კარგავს აქტუალობას, ოპოზიცია კი 26 მაისს გრანდიოზული დემონსტრაციისთვის ემზადება...**

- პოლიტიკა ჩვენ ქუჩაშიც ვიცით და დარბაზშიც - მოლაპარაკებათა მაგიდასთან. რაც შეეხება სააკაშვილს, იგი მაინცდამაინც ვერ არის ყოჩაღი პარტნიორ-კონკურენტი. თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ცალკე აღებული ოპოზიცია ვერ არის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის შემძლე. ამასთანავე, ხელისუფლება რომ მივუშვათ, ქვეყანას სულ დააქცევს და დაანგრევს. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ საშინაო და საგარეო ფაქტორების გამოყენებით ჩაერთოს კრიზისის დაძლევის პროცესში და საკუთარი გზა გაიაროს. ეს გზა მაინცდამაინც გრძელი არ არის. როგორც კი ქვეყანას ახალი ხელისუფლების არჩევის შესაძლებლობა მიეცემა, სააკაშვილსა და მის ნაციონალურ მოძრაობას რჩებათ შანსი, რომ მომავალ პარლამენტში ერთ მომცრო პოლიტიკურ ფრაქციად ვიხილოთ.

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

აცხადებს მსურველთა მიღებას საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების, მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებების სამაგისტრო პროგრამებზე.

მაგისტრატურაში კონკურსანტთა ჩარიცხვა მოხდება როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდებისა (სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მსურველთათვის) და შიდასაუნივერსიტეტო შერჩევის, ასევე მხოლოდ საუნივერსიტეტო კონკურსის შედეგებით.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მსურველებმა აუცილებლად უნდა გაიარონ რეგისტრაცია ა/წ 25 მაისამდე.

დამატებით ინფორმაციას შეიძლება გაეცნოთ გაზეთ "ქართულ უნივერსიტეტში", ასევე ჩვენს ვებგვერდზე **www.sangu.ge.**

ცნობებისათვის შეიძლება აგრეთვე მოგვმართოთ ტელეფონზე 25 82 43

მაგთი MAGTI

აირჩიეთ ნებისმიერი რაოდენობის **საყვარელი ნომერი**

და 30 დღის განმავლობაში ესაუბრეთ მათ

**უფასოდ!**



საყვარელი ნომრის ასარჩევად აკრიფეთ

*** 123 # OK** და მიჰყევით ინსტრუქციას.

◉ საყვარელ ნომრებად შეგიძლიათ აირჩიოთ მაგთის, ბალის ან მაგთი ფიქსის ნომრები.

◉ თითოეული ნომრის არჩევის ღირებულებაა 10 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 5239

# საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" პარლამენტს არაკონსტიტუციური ნორმის გამოსწორებისკენ მოუწოდებს. საუბარია 2009 წლის 13 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც სასამართლომ გამოიტანა საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."*



*ადვოკატების აზრით, საბოლოოდ მათი მიზანი მიღწეულია.*

მოსარჩელე ელგუჯა საბაურის ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები არჩილ ჩოფიკაშვილი, რუსუდან მჭედლიშვილი და ანა თვარაძე იცავდნენ.

მოსარჩელე და მისი ადვოკატები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში შესული ცვლილების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდნენ.

**"ცვლილებამდე აღნიშნული მუხლი შემდეგი შინაარსის იყო: "სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არ აქვს." ცვლილებით კი, ამოღებული იქნა სიტყვები: "სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას," რამაც კანონში მხოლოდ სიტყვა "სასჯელის" დარჩენა გამოიწვია და რადგან პირობითი მსჯავრი არ წარმოადგენს სასჯელის ზომას, პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობა მოისპო, "** - განაცხადეს კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა გამართულ პრესკონფერენციაზე.

მათი განმარტებით, სწორედ ამის შემდეგ სასამართლო პრაქტიკაში პირობითი მსჯავრის ნაცვლად სასჯელის ზომად პატიმრობის გამოყენება დაიწყო იმ პირების მიმართ, ვისაც აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებამდე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი და მათ მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება იყო შესაძლებელი.

**"ამ ცვლილების საფუძველზე ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ ელგუჯა საბაურს, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირობითი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული, სააპელაციო სასამართლომ პასუხისმგებლობა დაუმძიმა და პირობითი მსჯავრი პატიმრობით შეუცვალა,"** - განაცხადა ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

არადა, ადვოკატების მტკიცებით, ეს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილთან წინააღმდეგობაში მოდის, რომელშიც მითითებულია, რომ: **"კანონს თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს."**

ელგუჯა საბაურის ინტერესების დამცველებმა სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ამ საფუძვლით გაასაჩივრეს, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლების მტკიცებით, მათ საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთი არგუმენტი წარადგინეს იმის დასამტკიცებლად, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლი არაკონსტიტუციურად მაინც არ სცნო და მიუთითა მხოლოდ იმაზე, რომ იგი კონსტიტუციის შესატყვის განმარტებას საჭიროებს.

**თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა აღიარეს, რომ საერთო სასამართლოს მიერ დანერგილია ამ მუხლის გამოყენების არასწორი პრაქტიკა, რადგან საჯელი და პასუხისმგებლობა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ცნებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება კი ავტორიტეტულია და ყველა, სასამართლო, პროკურატურა, ადვოკატები და ასე შემდეგ, ვალდებულები არიან ამ მუხლის გამოყენებისას საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით იხელმძღვანელონ,** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში არჩილ ჩოფიკაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ საბოლოოდ მათი მიზანი მიღწეულია, რადგან მომავალში საქართველოში ამ მუხლის გამო ადამიანის უფლებები აღარ შეილახება.

**"მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი. შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ისტორიაში, აღნიშნული გადაწყვეტილება უპრეცედენტოა, რადგან გადაწყვეტილების მიმღები ოთხი მოსამართლიდან სამმა განსხვავებული აზრი გამოაქვეყნა. მოსამართლე ქეთევან ერემაშვილმა ჩვენი არგუმენტი გაიზიარა, ორ მოსამართლეს კი განსხვავებული აზრი აქვს მოტივაციასთან დაკავშირებით.**

**შეკითხვაზე, იარსებებს თუ არა მომავალშიც საფრთხე, რომ კანონის დამძიმება გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, ვინც კანონის გამკაცრებამდე ჩაიდინა დანაშაული, საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი მოსამართლიდან ოთხივემ განსხვავებული პასუხი გასცა, თუმცა საკონსტიტუციო სარჩელი მაინც არ დაკმაყოფილდა,"** - ამბობს არჩილ ჩოფიკაშვილი.

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლში" მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა არ მოხდა, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნორმის ბუნდოვანება და მისი გამოყენების არაკონსტიტუციური პრაქტიკა აღიარა. შესაბამისად, პარლამენტი ვალდებულია გამოასწოროს საკანონმდებლო ხარვეზი და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, აზერბაიჯანის მოქალაქე პატიმრობას გადაურჩა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატი პაატა ფხალაძე აზერბაიჯანის მოქალაქის სამანდარ კ-ს ინტერესებს იცავდა. სამანდარ კ.-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებდა ჯარიმას, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

საქმის მასალების გაცნობისა და ბრალდებულთან გასაუბრების შემდეგ საზოგადოებრივმა ადვოკატმა გაარკვია, რომ სამანდარ კ.-მ სახელმწიფო საზღვარი დეიდაშვილთან - თუჩანვაზ დ.-სთან ერთად გადმოკვეთა. მოგვიანებით, საქართველოდან გასვლის დღეს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე აღმოჩნდა, რომ ბრალდებულის პასპორტში საქართველოში შემოსვლის ფაქტი არ იყო დაფიქსირებული.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა ქვემო ქართლის პროკურატურის წინაშე დააყენა შუამდგომლობა სამანდარ კ.-სა და თუჩანვაზ დ.-ს მიერ საზღვრის გადაკვეთის ამსახველი ვიდეომასალის ამოღების შესახებ. პროკურატურამ აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა. თუმცა, გამოძიებამ ვიდეომასალა არ მიიჩნია უტყუარ ფაქტად, რადგან სამანდარ კ.-ს სახე გარკვევით არ ჩანდა.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა პროკურატურას ბრალდებულის დეიდაშვილის - თუჩანვაზ დ.-ს დაკითხვის შუამდგომლობით მიმართა. დაკითხვისას, თუჩანვაზ დ.-მ დაადასტურა სამანდარ კ.-ს მიერ საზღვრის კანონიერად გადმოკვეთის ფაქტი.

საბოლოოდ, პაატა ფხალაძის ძალისხმევით, პროკურატურამ სამანდარ კ-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება შეწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის (ქუთაისი, ზესტაფონი), სამეგრელოს (ზუგდიდის, ფოთის), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს.

*საკუთარი ინფორმაცია*



# ვილი კაჭარავა

გარდაიცვალა ბატონი ვილი კაჭარავა, მრავალმხრივი, ბევრი დადებითი თვისებით დაჯილდოებული, კეთილი, ხალისიანი, მეგობრული პიროვნება.

ხანგრძლივი, რთული, საინტერესო იყო მისი ცხოვრების გზა. 1950 წელს, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, დაიწყო მისი სამსახურეობრივი მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში, კომკავშირულ, პარტიულ, საზოგადოებრივ, პედაგოგიურ ასპარეზზე და ყველგან მონდომებით, პატიოსნად, კეთილსინდისიერად ემსახურებოდა საქმეს. დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის და ღირსების ორდენებით, მრავალი სამთავრობო სიგელითა და მედლით, მინიჭებული ჰქონდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის და უმაღლესი კატეგორიის მეთოდისტის წოდებები; გამოქვეყნებული ჰქონდა წიგნები და ბროშურები, მრავალი სტატია და წერილი, მისი გამოსვლები რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფორუმებზე შეტანილია სპეციალურ კრებულებში. სიცოცხლის ბოლო ოცი წლის განმავლობაში დაკავებული იყო ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმით, კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში.

1974 - 1977 წლებში ბატონი ვილი ხელმძღვანელობდა საარქივო დარგს. სამი წელი დაწესებულების ისტორიისათვის თითქოს მცირე დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან განსაკუთრებული ელფერი შესძინა და ღრმა კვალი დაამჩნია საარქივო საქმეს. თანამშრომლები მუდმივ მზადყოფნაში და ახლის მოლოდინში იყვნენ. იგი სისტემატურად იწვევდა არქივში ავტორიტეტულ პიროვნებებს, მთავრობის წევრებს, მეცნიერებს, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. მან კარგად იცოდა, რას წარმოადგენს არქივი, რა ფასდაუდებელ სიმდიდრეს იცავს ის, რაოდენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტს ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ატარებდა სამეცნიერო კონფერენციებს, სესიებს, შეხვედრებს. სამეცნიერო მუშაობაში არქივისტების უფრო ფართოდ ჩაბმის, მათი უკეთ წარმოჩენისა და წახალისების მიზნით, მისი ინიციატივით საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არქივმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობის და არქეოგრაფიის დარგში შესრულებული ნაშრომებისათვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის პრემიის მინიჭების შესახებ.

მისთვის ფასეული იყო არა მარტო წარმატებული მუშაობა, არამედ სურვილიც, თანამშრომელთა სულიერი, კულტურული მოთხოვნილებების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებისა და მათი ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებისაც. ამიტომაც უყვარდა იგი ყველას. ძალიან სამწუხაროა ასეთი ადამიანის წასვლა ამ ქვეყნიდან.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

## გათავისუფლება ფულის გადახდის სანაცვლოდ

გალის რაიონის სოფელ მარჩხაფონიდან გატაცებული 60 წლის ლედიკო ჩეხერია გუშინ დილით გაათავისუფლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩეხერია სახლიდან ფულის გამოძალვის მიზნით წაიყვანეს.

ამავე ინფორმაციის თანახმად, მოხუცი თხილის ბიზნესით იყო დაკავებული. ის გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

*პირველი*

## დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დააკავეს დედაქალაქში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: რამაზ ასლანიშვილი და გრიგოლ ბარამია, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან კერძო ტაქსის მძღოლებისაგან ფულადი თანხის, ავტომანქანის მაგნიტოფონებისა და მობილური ტელეფონების დანის მუქარით გატაცებაში. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს.

გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 179-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამმართველო.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ომბუდსმენის მიმართვა მთავარ პროკურორს

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას მიმართა და თორნიკე არევაძისა და ზურაბ ყანჩაველის ცემის ფაქტის შესწავლა სთხოვა.

სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა-განმარტებების თანახმად, პარტია დემოკრატიული მოძრაობა - საქართველოსათვის" რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის წევრები თორნიკე არევაძე და ზურაბ ყანჩაველი 27 აპრილის საღამოს რუსთავში უცნობმა პირებმა სცემეს.

ომბუდსმენის განცხადებით, არევაძე და ყანჩაველი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მიმდინარე საპროტესტო აქციებში. 2009 წლის 27 აპრილის საღამოს, დაახლოებით 17 საათისათვის თორნიკე არევაძემ აქციის 5 მონაწილე რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციიდან მეგობრის ავტომანქანით რუსთავში წაიყვანა, მას თან ახლდა ზურაბ ყანჩაველიც.

უკან დაბრუნებისას არევაძემ შენიშნა, რომ მის მანქანას მუქი იასამნისფერი ფოლკსვაგენი" გოლფ 3"-ის მოდელის ავტომანქანა აედევნა. ამის შესახებ მან პარტიის წევრებს მობილურით შეატყობინა. ავტომანქანა რუსთავშივე, სააკაძის ქუჩაზე წამოეწია და დაეჯახა. არევაძე იძულებული გახდა, მანქანა გაეჩერებინა. თავდამსხმელთა მანქანიდან 35-40 წლის სამი მამაკაცი გადმოვიდა. მანქანიდან არევაძე და ყანჩაველიც გადავიდნენ. ერთი პირი არევაძეს დაესხა თავს, ორი - ყანჩაველს. თავდამსხმელები მათ 2-3 წუთის განმავლობაში სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ თავდამსხმელებმა სწრაფად დატოვეს შემთხვევის ადგილი. წასვლისას ერთ-ერთმა თორნიკე არევაძეს შემდეგი სიტყვებით მიმართა - წადი ახლა და სადაც გინდა, იქ მიჩივლე. თავდამსხმელები ავტომანქანით სააკაძის ქუჩიდან ბათუმის ქუჩის მიმართულებით მიიმალნენ , - განმარტავს სახალხო დამცველი.

არევაძემ ინციდენტის შესახებ პარტიის ხელმძღვანელობას აცნობა და მივიდა რუსთავის ქალაქის საავადმყოფოში, სადაც პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

თორნიკე არევაძის განმარტებით, აღნიშნულ შემთხვევამდე, პარტიაში გაწევრიანების დღიდან, მას ფარული ნომრებით მობილურ და სახლის ტელეფონებზე ურეკავდნენ უცნობი პირები და მისგან პარტიის დატოვებას ითხოვდნენ. ანალოგიური მოთხოვნით დაურეკეს ასევე არევაძის მეუღლეს.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას გაუგზავნა.

*მედია-ნიუსი*

## ეგვიპტეში 24 ადამიანს სიკვდილით დასჯიან

ეგვიპტურმა სასამართლომ მკვლელობაში დამნაშავე 24 პირს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. გასამართლებულები 2008 წლის მარტში კერძო დაცვის ორ ჯგუფს შორის მომხდარ შეტაკებაში მონაწილეობდნენ, რის შედეგადაც 11 ადამიანი დაიღუპა და 27 მძიმედ დაიჭრა.

კონფლიქტში მონაწილე დაცვის წევრები დაქირავებულნი იყვნენ კონკურენტი ორი კომპანიის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ერთმანეთს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვების გამო ებრძოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის შეტაკებები ეგვიპტეში საკმაოდ ხშირად ხდება, თუმცა ეს უკანასკნელი იშვიათი გამონაკლისი იყო, როდესაც კონფლიქტი მსხვერპლით დასრულდა.

*მედიანიუსი*

# საქართველოს საგარეო ვალი იზრდება

## რა ელის ქვეყნის კრედიტუნარიანობას?

მანანა ვარდიაშვილი

2009 წლის 30 აპრილის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ 628 მილიონ 962 ათასი ლარია, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1 მილიარდ 248 მილიონ 168 ათასი ლარით მეტი. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს მრავალმხრივი კრედიტორების 2 მილიარდ 932 მილიონ 93 ათასი ლარი მართებს. აქედან, მსოფლიო ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ვალი 1 მლრდ 591 მლნ 965 ათასი ლარია, ევროგაერთიანების 125 მლნ 74 ათასი ლარი, აზიის განვითარების ბანკის 120 მლნ 949 ათასი ლარი, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1 მილიარდ 25 მილიონ 373 ათასი ლარი. ორმხრივი კრედიტორების მიმართ საქართველოს ვალი 857 მილიონ 606 ათას ლარს გაუტოლდა. სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობა კი 14 მილიონ 213 ათას ლარია. აქედან, გერმანიის 6 მილიონ 78 ათასი ლარი, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 8 მილიონ 135 ათასი ლარი გვმართებს. საგარეო ვალის ზრდა სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის მორიგი ტრანშის გამოყოფამ განაპირობა. სავარაუდოდ, ვალი მომავალშიც გაიზრდება, რადგან ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე დაპირებული კრედიტების დიდი ნაწილი საქართველოს ჯერ კიდევ არ აუღია.

### ვალი და მიზანი

2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ლარის სტაბილური კურსის მეშვეობით საგარეო ვალის შემცირება მოახერხა. სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო, რასაც ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე ორი სარეიტინგო სააგენტო: „Standard & Poor s" და „Fitch" -იც აღიარებდა. საქართველოს საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანი იყო. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები კი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებოდა.

მდგომარეობა გასულ წელს შეიცვალა. საგარეო ვალის ზრდას ხელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების - ევროობლიგაციების გამოშვებამაც შეუწყო. საქართველოს საგარეო ვალის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ევროობლიგაციების ემისიით მიღებულ შემოსავლებზე მოდის. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფო საგარეო ვალს პრაგმატულად მართავს და







მას ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად იყენებს. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები კი ძირითადად ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება. ევროობლიგაციებთან დაკავშირებით კი საქმე სხვაგვარადაა: მთავრობამ 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი ისე აიღო, რომ მას "ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი" რომელი პროექტის ან პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

500 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე კომპანიებმა UBS-მა და JP Morgan-მა განათავსეს. ობლიგაციების ნახევარი ბრიტანელმა ინვესტორებმა შეიძინეს, 13 პროცენტი კი ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ამერიკული კომპანიების ანგარიშებზე გადავიდა. საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციების ნომინალური წლიური განაკვეთი 7,5 პროცენტია.

ევროობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ "აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს გააცნო და, შესაბამისად, ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა".

მთავრობამ განაცხადა, რომ ევროობლიგაციების ემისიიდან მიიღებული შემოსავლები "მომავალი თაობების" და "სტაბილური განვითარების" ფონდებში გადამისამართდებოდა და ეს თანხა დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაციას მოხმარდებოდა. თუმცა, სესხად აღებული 500 მილიონი აშშ დოლარი რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ ბიუჯეტში გადამისამართდა და მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო ამ ტრანზაქციამ ქვეყანაში ვერც დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინება წაახალისა. გამოდის, რომ ამხელა ვალი საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდისა და საკრედიტო რისკის სტანდარტის დასადგენად ავიღეთ. ამისთვის კი ქართველმა გადასახადის გადამხდელებმა მარტო ამ ვალის მომსახურების მიზნით წლიურად "სულ რაღაც" 37,5 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადავიხადოთ.

### "საგარეო ვალის მიმართება მშპ-სთან 2009 წლის ბოლოს დაახლოებით 30 პროცენტს მიაღწევს"

ექსპერტი დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ საგარეო ვალის მოცულობის ზრდის ფონზე ქვეყნის კრედიტუნარიანობა მცირდება: "თუ 2008 წლამდე საქართველოს საგარეო ვალი მცირდებოდა, 2008 წლიდან ეს სურათი რადიკალურად შეიცვალა. გასული წლიდან მოყოლებული დღემდე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შეფერხება შეინიშნება. გარდა ამისა, ხელისუფლებამ გასულ წელს ევროობლიგაციების ემისიის გამო დამატებით კიდევ 500 მილიონი დოლარის ვალი აიღო. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა მშპ-ს ასეთი დაბალი ზრდის ფონზე რუსული აგრესიის შედეგების სალიკვიდაციოდ კიდევ დაახლოებით 2,5 მილიარდი დოლარის სესხს აიღებს, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საგარეო ვალის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი ქვეყნის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელს კიდევ უფრო დაბლა დასწევს.

ქვეყნის ხელმძღვანელობა დიდი ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ დონორი ქვეყნები საქართველოს ეხმარებოდნენ. როგორც გაირკვა, 4,5 მილიარდი დოლარიდან მხოლოდ 2 მილიარდია დახმარება, დანარჩენი კი სესხია. დონორი ქვეყნების მხრიდან დახმარების მიღება ეკონომიკური კრიზისიდან ავტომატურ გამოსვლას არ ნიშნავს. შესაძლოა, ვალი მიმდინარე ეტაპზე რაღაც ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოვიყენოთ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ვალი გადასახდელი იქნება და ის შემდგომ წლებში ქვეყნის ბიუჯეტს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რაში ხარჯავს ფინანსთა სამინისტრო ამ ფულს, ძალიან სავალალო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ხელისუფლება საერთაშორისო სესხებით მიღებულ ფულს პენსიებზე, უმწეოთა დახმარებაზე, საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელფასების გაცემასა და სხვა მსგავს ღონისძიებებზე ხარჯავს. ვალის ძალიან მცირე ნაწილი ხმარდება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს და იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც ქვეყანას რუსული აგრესიის შედეგად მიადგა. შეიძლება ითქვას, რომ საბიუჯეტო დავალიანებების დაფინანსების თვალსაზრისით ხელისუფლებას საერთაშორისო დახმარებებმა და კრედიტებმა სულზე მოუსწრო. იმის გამო, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიც ძალზე მწირია და ის ქვეყნის ვალდებულებების დასაფინასებლად საკმარისი არ არის," - აცხადებს დავით ნარმანია.

საქართველოს საგარეო ვალი ამ ეტაპზე მშპ-ს 22 პროცენტს შეადგენს. 2007 წელს ეს მაჩვენებელი 16,7 პროცენტი იყო. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" თავის ანგარიშში "საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები" მშპ-სთან მიმართებაში საგარეო ვალის ზრდას წინასწარმეტყველებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ "ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული და სხვა ტიპის პრობლემების გამო, საქართველო შესაძლოა იძულებული გახდეს სესხები ადრინდელზე უფრო მკაცრი პირობებით მოიზიდოს, რაც ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ მდგომარეობას ბევრად უფრო გაართულებს. მით უფრო, რომ 2008 წლიდან კვლავ სახეზეა საგარეო ვალის აქსელერაციის ტენდენცია.

თუ დავუშვებთ იმას, რომ დონორების მიერ საქართველოსთვის გადმორიცხული თანხები ქვეყანას სრულად მოხმარდება და აქედან დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი სესხია, ქვეყნის საგარეო ვალის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპს ბევრად გადააჭარბებს. საგარეო ვალის მიმართება მშპ-სთან 2009 წლის ბოლოს დაახლოებით 30 პროცენტს მიაღწევს. მართალია, აქედან პირდაპირ არ გამომდინარეობს ის, რომ საქართველოს საგარეო ვალი აუცილებლად გახდება სერიოზული მაკროეკონომკური პრობლემა, მაგრამ ცალსახაა ისიც, რომ საერთაშორისო კონიუნქტურისა და ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის დინამიკა ამგვარი საფრთხის რეალურ ნიშნებს უკვე შეიცავს.

აქედან გამომდინარე, მთავრობის მხრიდან აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის დ ზემოთმოყვანილი დამდგარი თუ მოსალოდნელი რისკების ზუსტი აღქმა, რათა დროულად და მაქსიმალურად ეფექტურად გადაიდგას ვითარების გარდატეხისთვის საჭირო ნაბიჯები და გატარდეს იმ პრევენციულ ღონისძიებათა წყება, რომელიც რეცესიით გამოწვეულ შოკებს შეამსუბუქებს".

# HSBC-ის მეორე ფილიალი თბილისში

ლიკა ჭობაძე

15 მაისს თბილისში, პეკინის ქუჩაზე ბანკ HSBC-ის მეორე ფილიალი გაიხსნა. ახალი მომსახურების ცენტრი მომხმარებელს საცალო და კორპორატიულ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობს.

HSBC-მ საქართველოში საბანკო საქმიანობა 2008 წლის ივნისში დაიწყო და არსებობის 10 თვის მანძილზე მომხმარებელთა სოლიდური რაოდენობა დააგროვა. ბანკის კაპიტალი 5 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, ასევე გაორმაგდა თანამშრომელთა რაოდენობაც.

2008 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკის საწყისი კაპიტალი 23.9 მლნ. ლარს შეადგენდა. 2009 წლის მარტში კი კაპიტალი 5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა. ამჟამად, HSBC ბანკი საქართველოს კაპიტალი 32 272 880 ლარით განისაზღვრება. საქართველო 84-ეა იმ ქვეყნებს შორის, სადაც HSBC მოღვაწეობს.

**საქართველოში ჩვენი გეგმები არ იცვლება. HSBC გააფართოებს თავის ბიზნესს ეტაპობრივად. დასაწყისისთვის ჩვენ ფოკუსირებულნი ვართ თბილისზე, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ვგეგმავთ ფილიალების გახსნას საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ჩვენი ბანკი მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებს: თუ იქნება მოთხოვნა, ჩვენ ვუპასუხებთ მას და მომხმარებელს შევთავაზებთ შესაბამის საბანკო მომსახურებას. პეკინის ფილიალი არის ამის კარგი მაგალითი.** -განაცხადა ბანკის გენერალურმა დირექტორმა ტონი ტერნერმა.

HSBC ბანკი საქართველო წარმოადგენს HSBC ჯგუფის (70%) და სხვა უცხოური კაპიტალით (30%) შექმნილ, საქართველოში ლიცენზირებულ სააქციო საზოგადოებას. ბანკის მთლიანი აქტივები 2009 წლის მონაცემებით 105 258 981 ლარს შეადგენს.

HSBC ჰოლდინგი 100 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. მას მსოფლიოს 85 ქვეყანაში 9 500 ოფისი აქვს. ჯგუფის აქტივები 2008 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 2,547 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო და საფინანსო ორგანიზაციაა.

# ისრაელისა და ამერიკის განსხვავებული პრიორიტეტები

## წარუმატებელი შეხვედრა ვაშინგტონში

ხათუნა გაბიევი

ვაშინგტონში გამართულ სამიტზე შეერთებული შტატებისა და ისრაელის ლიდერებმა საერთაშორისო ურთიერთობების განხილვისას აბსოლუტურად განსხვავებული პრიორიტეტები დაასახელეს. დიალოგის მსვლელობისას ბარაკ ობამა "ორი სახელმწიფოს" ფორმულას ემხრობოდა, მაშინ როცა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს მსგავსი ფორმულირებით ერთხელაც არ უხსენებია ისრაელ-პალესტინის ურთიერთობა. ისრაელის პრემიერის თქმით, მისთვის მთავარია ირანის მხრიდან აღქმული საფრთხისა და ბირთვული პროგრამის განეიტრალება.

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ საჯაროდ ლიდერებს შეუთანხმებლობაზე არ უსაუბრიათ, აზრთა სხვადასხვაობა მაინც უცვლელი დარჩა. ერთი სიტყვით, ვაშინგტონში ნეთანიაჰუს ვიზიტამდე ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის მეშვეობით გადაცემული გზავნილისა და თვით შეხვედრის შედეგების წარუმატებლობაც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების შესახებ ბარაკ ობამას გრანდიოზულ გეგმებს, სავარაუდოდ, უშედეგოდ დასრულებას უნდა უქადდეს.

**"ჩვენ ვისაუბრეთ ისრაელსა და პალესტინას შორის სერიოზული მოლაპარაკებების აღდგენის შესახებ. ორი სახელმწიფოს შექმნის გზით პრობლემის გადაწყვეტა ორივე ქვეყნის ინტერესებში უნდა შედიოდეს,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.



ბენიამინ ნეთანიაჰუ და ბარაკ ობამა

AFP ' 2009

მან ისიც აღნიშნა, რომ 2003 წელს ამერიკის შუამავლობით მიღებული "საგზაო რუკის" თანახმად, ისრაელი ვალდებულია, შეწყვიტოს დასახლებების მშენებლობა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.

რაც შეეხება ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოზიციას, ნეთანიაჰუმ, მართალია, მხარი დაუჭირა პალესტინის ავტონომიურ თვითმმართველობას, მაგრამ არაფერი უთქვამს სრულფასოვანი პალესტინური სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობაზე.

**"ჩვენ არ გვსურს პალესტინელების მართვა. ჩვენი სურვილია, რომ მათ ჰქონდეთ თვითმმართველობა. მსურს პალესტინელებთან მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყება. გვინდა, რომ შეწყდეს ცეცხლი და მათ მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება მიეცეთ. ჩვენი მიზანია კონფლიქტის დასრულება. თუმცა, ჩვენ თუ მოლაპარაკებებს აღვადგენთ, პალესტინელებმა უნდა აღიარონ ისრაელი ებრაულ სახელმწიფოდ და ჩვენი თავდაცვის უფლება,"** - გაიმეორა ოფიციალური თელ-ავივის მხრიდან უკვე არაერთხელ ნათქვამი ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

პრემიერის სიტყვებს ირონიული გამოხმაურება მოჰყვა პალესტინაში. პალესტინის ავტონომიის წარმომადგენელ საებ ერექათის თქმით, ბენიამინ ნეთანიაჰუს სიტყვები შექმნილ ვითარებაში ცოტა უცნაურად ჟღერს.

**"როგორ შემიძლია თვითმმართველობაზე ფიქრი მე, როგორც პალესტინელს, როცა ყოველდღიურად ისრაელის ოკუპაციის პირობებში მიწევს ცხოვრება? ისრაელის საგუშაგოებით გაყოფილია ჩემი ქალაქი, დასახლება და ლტოლვილთა ბანაკები,"** - განაცხადა ერექათმა.

კიდევ უფრო შორს წავიდა განცხადებებში "ჰამასის" წარმომადგენელი მუშერ მასრი, რომელმაც ეჭვი გამოთქვა, რომ ამერიკელები დღემდე არიდებენ თავს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი მიდგომაში ორივე მხარის თანასწორუფლებიანობაზე საუბარს.

თუმცა, ამერიკელთა პოზიცია, პალესტინის გარდა, ისრაელშიც აფიქრებთ, კერძოდ, მემარჯვენე პარტიებში, სადაც ვარაუდობენ, რომ ოფიციალური ვაშინგტონი უარს ამბობს ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხარდაჭერაზე.

ისრაელის ოპოზიციურ პარტია "კადიმაში" კი აცხადებენ, რომ პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, რომ ვაშინგტონში ვიზიტის დროს მართლაც საიმედო ურთიერთობები განემტკიცებინა ამერიკის პირველ პირთან.

რაც შეეხება დამოუკიდებელ ექსპერტთა და ანალიტიკოსთა შეფასებებს, მათ მიაჩნიათ, რომ შეერთებული შტატების ამჟამინდელი ადმინისტრაცია სულაც არ ემიჯნება ისრაელის უსაფრთხოების პოლიტიკას და არც მათ სასარგებლოდ ცდილობს პალესტინელებისთვის მეორეხარისხოვანი როლის მორგებას. ანალიტიკოსთა თქმით, ბარაკ ობამა, წინამორბედისგან განსხვავებით, ცდილობს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს არაბულ-ებრაული კონფლიქტის რეგულირებაში, ვინაიდან ეს, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის ეტაპობრივად დამყარების პარალელურად, გაამყარებს შეერთებული შტატების იმიჯსაც მუსლიმურ სამყაროში. მუსლიმურ სამყაროში სანდოობისა და მოკავშირის რეპუტაციის დამსახურებით შესაძლებელი გახდება, არაბული ქვეყნების ერთიანი ფრონტით გამოსვლა ირანის წინააღმდეგ.

ოფიციალური თეირანი კი შეხვედრაზე, მართლაც, რიგით მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ისრაელი დაჟინებით მოითხოვს ირანის ბირთვული პროგრამის შეწყვეტას, ვინაიდან თეირანის ბირთვული ამბიციები თელ-ავივში უსაფრთხოებისა და ზოგადად ებრაული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი საფრთხის წყაროდ აღიქმება.

რაც შეეხება ამერიკული მხარის პოზიციას, მოლაპარაკებების დასრულებისას ობამამ განაცხადა, რომ ვერ ხედავს დიპლომატიურ ასპარეზზე დროებითი შეზღუდვების ხელოვნურად დაწესების ნაყოფიერებას. თუმცა, მისი თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ თეირანთან მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ბოლომდე მაინც გამოიღებს რამე დადებით შედეგს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებით, არ არის გამორიცხული "რიგი ნაბიჯების" გადაგმა, მათ შორის ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება, თუკი ირანი ჯიუტად გააგრძელებს ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას.

# აშშ ყირგიზეთში ავიაბაზის დაბრუნებას ცდილობს

მარიკა იაშვილი

აშშ-მ შესაძლოა ყირგიზეთში მდებარე თავისი ავიაბაზა ფინანსური დახმარების გაზრდით დაიბრუნოს. ვაშინგტონი მზად არის, მანასის აეროპორტის ინფრასტრუქტურის დასახვეწად 30 მილიონი აშშ დოლარი გამოყოს. გარდა ამისა, ბიშკეკს ყოველწლიური ფინანასური გახმარება 25 მილიონიდან 41.5 მილიონ აშშ დოლარამდე გაეზრდება. ყირგიზეთის ხელისუფლება, რომელმაც ბაზის გაუქმების შესახებ თებერვალში განაცხადა და ამის შემდეგ მისი ლიკვიდაცია 18 აგვისტომდე უნდა მომხდარიყო, ვაშინგტონის გადაწყვეტილებაზე კომენტარს არ აკეთებს. ექსპერტთა უმრავლესობის ვარაუდით, იმის მტკიცება, რომ ბაზა გაუქმდება, ნაადრევია.

ამერიკის მცდელობა, ბაზა დაფინანსების გაზრდით შეინარჩუნოს, **"თავისებური ამერიკული სატყუარაა ყირგიზეთისთვის,"** - მიაჩნია ეროვნული უსაფრთხოების ყირგიზ სპეციალისტს ლეონიდ ბონდარეცს. მისი აზრით, სახეზეა მოსყიდვის ბანალური მცდელობა - ბიშკეკი აშშ-სგან ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ქვეყანაში ამერიკელ სამხედროთა ყოფნას დათანხმდება.



ამჟამად მანასის ავიაბაზაზე ამერიკისა და სხვა ქვეყნების, დაახლოებით, 1 200 სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

AFP ' 2009

ბონდარეცის განმარტებით, **"ამ ნაბიჯით ამერიკა ცდილობს, შეინარჩუნოს პლაცდარმი, რომელსაც რეგიონში პოზიციების სრულმასშტაბიანი გამყარებისთვის წლების განმავლობაში აშენებდა."**

**"ამ სტრატეგიის ფარგლებში ასევე მიზანინმართულად ფართოვდებოდა იმ ამერიკული ორგანიზაციების ქსელიც, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებენ. გარდა ამისა, ეს თვითმპყრობელური სახელმწიფო არც ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაციების მხარდაჭერას ივიწყებდა - მათი დიდი ნაწილი კი ამერიკული დაფინანსების ხარჯზე არსებობს. ყველა ამ ქმედებით აშშ ისეთი სიტუაციის შექმნას ცდილობდა, რომელშიც შეძლებდა ყირგიზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე თავისთვის სასარგებლო გავლენა მოეხდინა,"** - განაცხადა ექსპერტმა.

საინტერესოა, რომ ყირგიზეთის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ომურბეკ თეკებაევმა რადიო "თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მანასის ავიაბაზის კიდევ სამი წლით დატოვების გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

თუმცა დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის ბიშკეკის ფილიალის დირექტორ ალექსანდრ კნიაზევის განცხადებით, **"წავლენ თუ არა ამერიკელები, მხოლოდ ბაკიევზე არ არის დამოკიდებული."**

**"30 მილიონი აშშ დოლარი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეს თანხა ვერც შეედრება რუსეთის მიერ გამოყოფილ 2 მილიარდს. მოსკოვთან და შესაძლოა პეკინთან კონსულტაციის გარეშეც ბაკიევი ვერაფერს გადაწყვეტს,"** - განაცხადა კნიაზევმა. მას მიაჩია, რომ სიტუაცია აშშ-სა და რუსეთის პრეზიდნეტების ბარაკ ობამასა და დმიტრი მედვედევის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

ყირგიზეთის პოლიტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნურ ომაროვი მიიჩნევს, რომ ახალი შეთანხმების გაფორმება და სახეცვლილი ფორმატით მანასის ფუნქციონირების გაგრძელება 23 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი.

მისი აზრით, შესაბამისი შეთანხმება ყირგიზეთსა და, სავარაუდოდ, გაერო-ს შორის გაფორმდება, რომლის მიხედვითაც, გაერო მოცემული ბაზის ინფრასტრუქტურის შენარჩუნებაზე მანდატს დასავლეთის ქვეყნებს, ანუ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს მისცემს.

მანასის ავიაბაზა, რომლის ფართობი 224 ჰექტარია, ყირგიზეთში, გაერო-ს მანდატით, 2001 წლის დეკემბერში სამხედრო მოქმედებების წარმოებისა და ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად ავღანეთში ამერიკული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში გაიხსნა. ამჟამად ავიაბაზაზე ამერიკისა და სხვა ქვეყნების, დაახლოებით, 1 200 სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავები და ბენზინმზიდი თვითმფრინავები იმყოფება.

თებერვალში ყირგიზეთის პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაკიევმა ამერიკული ბაზის დახურვის შესახებ გააკეთა განცხადება, მოგვიანებით კი ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმაც დაამტკიცა. ყირგიზეთმა შეთანხმებები გააუქმა აშშ-ს მოკავშირეებთანაც, რომლებიც ასევე სარგებლობდნენ მანასის ბაზით. 2008 წლის განმავლობაში ყირგიზეთის ბიუჯეტში ავიაბაზის არსებობის გამო 38 მილიონი აშშ დოლარი შევიდა.

AIR

# საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია
## სასწავლო პროგრამა
## "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდაგვარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ.

**ძირითადი თემები:** სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პოლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

**სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება**

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერთიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

**პროგრამის ლოგისტიკა**

ლექციები წარიმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: http://bmu.li/st4 ) **არა უგვიანეს 25 მაისისა.** სასწავლო პროგრამა დაიწყება **27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

# გაასამართლებენ თუ არა თურქეთის პრეზიდენტს

ივა შილაკაძე

თურქეთის სასამართლო ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტ აბდულა გიულს პასუხს სთხოვს სამ მილიონზე მეტი დოლარის გაფლანგვისთვის. აბდულა გიული პრეზიდენტად 2007 წელს აირჩიეს, ხოლო ის საქმე, რომელშიც პრეზიდენტს ეჭვმიტანილის სტატუსი აქვს, 90-იანი წლების ბოლოს მოხდა.

ფულის უკანონო მითვისებაში ბრალი ედება კეთილდღეობის პარტიას . ეს იყო პროისლამური პოლიტიკური ძალა, რომლის მოღვაწეობაც 1998 წელს სასამართლომ აკრძალა. დაშლილი პარტიის პოლიტიკოსების ნაწილმა მოგვიანებით შექმნა სამართლიანობის და განვითარების პარტია , რომელიც დღეს მმართველი პარტიაა და რომლის წევრებიც არიან პრეზიდენტი აბდულა გიული და პრემიერი რეჯებ ტაიპ ერდოღანი.

კეთილდღეობის პარტია სამთავრობო კოალიციის წევრი იყო 1996-1997 წლებში. ამ პერიოდში მან რამდენიმე პროისლამური კანონის მიღებას მიაღწია, მათ შორის გააუქმა ჰიჯაბების ტარების აკრძალვა სახელმწიფო დაწესებულებებში. მას შემდეგ, რაც პარტიას მოღვაწეობა აეკრძალა, მისი ქონება სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდა. ამ პროცესში უკვალოდ გაქრა, დაახლოებით, მილიარდი თურქული ლირა (3,5 მილიონი დოლარი). ლიდერები ამტკიცებენ, რომ ფული ადგილობრივ ორგანიზაციებს გაეგზავნათ, მაგრამ ეს თანხა რეგიონულ ორგანიზაციებამდე არ მისულა და საერთოდ გაუგებარია, სად გაქრა. ადრე ამ საქმეზე პასუხი უკვე მოეთხოვათ ქვეყნის სხვა მაღალჩინოსნებს, 2004 წელს 5 წელი მიუსაჯეს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნეჯმეტინ ერბაქანს, მაგრამ ის 2008 წელს შეიწყალეს.




აბდულა გიული

AFP ' 2009

სამართლიანობის და განვითარების პარტიას შარშან ისიც ბრალდებოდა, რომ სახელმწიფოს საერო ხასიათის შეცვლას ძალით ცდილობდნენ და მთავარ არგუმენტად სკოლებსა და საზოგადოებრივ ადგილებში ჰიჯაბების ტარების აკრძალვის გაუქმება მოჰყავდათ. საკონსტიტუციო სასამართლომ მმართველი პარტიის დაშლის და მისი 70-მდე წევრისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის საკითხიც განიხილა, მაგრამ პარტია იოლად გადარჩა - მხოლოდ ჯარიმის გადახდა დაეკისრა. მმართველი პარტიის ლიდერები კატეგორიულად უარყოფენ ქვეყნის ისლამურ სახელმწიფოდ გადაქცევის მცდელობას და შარიათის კანონების შემოღების სურვილს. მიიჩნევენ, რომ მათ წინააღმდეგ ამ უსაფუძვლო ბრალდებებს ქვეყნის ძველი ელიტა გავლენის დასაბრუნებლად იყენებს და ამას დემოკრატიაზე თავდასხმად აფასებენ.

დღეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოახერხებს თურქული მართლმსაჯულება სასამართლოში თურქეთის პრეზიდენტის ბრალდებულის სტატუსით წარდგენას. ქვეყნის კონსტიტუცია სახელმწიფოს მეთაურის დაპატიმრებას მხოლოდ სამშობლოს ღალატის ბრალდებით ითვალისწინებს. ეტყობა, პროკურატურა აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ დანაშაული (თუ ის მართლა ჩადენილია, უფრო სწორად, თუ პრეზიდენტი ამ ფინანსურ მაქინაციაში მონაწილეობდა) აბდულა გიულის პრეზიდენტად არჩევამდე მოხდა. ალბათ არც ის არის გამორიცხული, რომ მოსამართლეები ამ საქმეს გიულის პრეზიდენტობის შემდეგ მიუბრუნდნენ.

# ღორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა

მარიკა იაშვილი

გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, ჟენევაში, წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, ღორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოშვების საკითხს განიხილავს.

შეხვედრას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარგარეტ ჩანიც დაესწრება. სხვა მნიშვნელოვან თემებს შორის, ახალი ვაქცინის გამოშვებისა და მისი ღირებულების საკითხიც იქნება.

იმის გამო, რომ მდიდარმა ქვეყნებმა უკვე დაუკვეთეს ვაქცინის დიდი რაოდენობა, ჩნდება საშიშროება, როგორ მოხერხდება მისი გლობალური გადანაწილება.

ბან კი მუნი ეცდება, ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებისგან წამლის საჭირო რაოდენობის ხელმისაწვდომ ფასში გამოშვებას მიაღწიოს.

დღემდე ფარმაცევტული კომპანიები ჩვეულებრივი გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებს უშვებდნენ, მაგრამ ახლა მათ უნდა მონახონ შესაძლებლობა, რომ ღორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინების დამატებითი რაოდენობა დაბალ ფასად გამოუშვან.

რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ ფარმაცევტებს ვაქცინის დიდი პარტიები ჯერ კიდევ მაშინ შეუკვეთეს, როდესაც ის შექმნის პროცესში იყო. ამის გამო გაჩნდა საფრთხე, რამდენად შესაძლებელი იქნება პრეპარატის სხვა ქვეყნებისთვის მიწოდება.

როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციის "ექიმები საზღვრებს გარეშე" თანამშრომელმა მიშელ ჩაილდსმა აღნიშნა, "შეკვეთების მიცემით ქვეყნები ცდილობენ, ვაქცინა ურიგოდ მიიღონ."

**"აუცილებლია, ყველა ქვეყანა შეთანხმდეს, თუ როგორ მოხდეს საჭიროების მიხედვით ვაქცინის თანაბარი განაწილება ისე, რომ ქვეყანამ, მის ტერიტორიაზე დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, პრეპარატი დაუყოვნებლივ მიიღოს," - განაცხადა მიშელ ჩაილდსმა. "თუმცა ამჟამად ეს საკითხი არ განხილება,"** - დაამატა მან.




პანდემია მსოფლიოს მესამედს ემუქრება

AFP ' 2009

ამავდროულად ვირუსი გავრცელებას განაგრძობს. იაპონიაში ღორის გრიპით დაავადების ახალი შემთხვევები ყოველდღიურად დასტურდება. ამჟამად ქვეყანაში 173 ინფიცირებულია რეგისტრირებული.

იაპონიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, რომ დაავადებათა ახალმა ტალღამ ქვეყანა მსოფლიოში მეოთხე ადგილზე გადაიყვანა მექსიკის, აშშ-სა და კანადის შემდეგ.

დიდ ქალაქებში დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები. მთელ ქვეყანაში, საერთო ჯამში, 4 ათასმა სასწავლო დაწესებულებამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

ძირითად შემთხვევაში დაავადება იმ მოქალაქეებს აღმოაჩნდათ, რომლებიც მექსიკიდან, კანადიდან ან აშშ-დან დაბრუნდნენ, თუმცა უკვე დაფიქსირდა ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადადების შემთხვევაც.

ჯერჯერობით იაპონიაში გამოვლენილი დაავადების არც ერთი შემთხვევა სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ A/H1N1 ვირუსმა ტიბეტამდეც მიაღწია. შემთხვევა ოფიციალურად დაადასტურა ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტრომ. უწყების წარმომადგენელთა განცხადებით, ტიბეტში დაავადება 42 წლის იტალიელმა ტურისტმა ქალმა შეიტანა, რომელიც ავტონომიური რაიონში ნეპალიდან 16 მაისს ჩავიდა.

ტურისტი თავს ცუდად ჯერ კიდევ ტიბეტში ჩასვლამდე გრძნობდა. სასაზღვრო კონტროლის გავლისას აღმოჩნდა, რომ ქალს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, რის გამოც დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ადგილობრივ ჰოსპიტალში. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია.

იმის გამო, რომ წინასწარმა გამოკვლევებმა ღორის გრიპის არსებობის ალბათობა დაადასტურა, 23-კაციანი ტურისტული ჯგუფის ყველა წევრი კარანტინში მოთავსდა.

ტიბეტის გარდა, ღორის გრიპი რეგისტრირებულია ჩინეთის კიდევ რამდენიმე რაიონსა და დიდ ქალაქში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ოფიციალურად ადასტურებს დაავადების 9 829 შემთხვევას მსოფლიოს 40 ქვეყანაში, მათგან 74 ლეტალური შედეგით დასრულდა.

მთელ მსოფლიოში დაფიქსირებული შემთხვევის 95 პროცენტი აშშ-ში, მექსიკასა და კანადაშია რეგისტრირებული. მათ დაავადებულთა რაოდენობის მიხედვით მოჰყვება იაპონია - 173 შემთხვევით, ესპანეთი - 103 და დიდი ბრიტანეთი 101. ცნობილი გახდა, რომ ღორის გრიპის ერთი შემთხვევა საბერძნეთშიც გამოვლინდა.

მედიკოსები შიშობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვირუსის გავრცელება ასეთი ტემპით გაგრძელდება, შესაძლოა ღორის გრიპით მსოფლიო მოსახლეობის ერთი მესამედი დაავადდეს.

CMYK - 9


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
No limits
Absolute freedom for your business
First free industrial zone in Caucasus
Strategic location beside the Poti Sea Port
Tax free environment
Easy business set up
POTI
FIZ
www.rakiageorgia-freezone.com
RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
Tel: (995 393) 25 25 4/5/6
Fax: (995 393) 25 25 1/9
RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 27 77 33
Fax: (995 32) 27 77 66
E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

CMYK - 9

## პრემიერა რუსთაველის თეატრში

დღეს, 21, 28, და 29 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის სახემწიფო თეატრი და ახალგაზრდა რეჟისორი ნინო ლიპარტიანი თანამედროვე ქართველი დრამატურგის - ირაკლი სამსონაძის არაორდინალურ კომედიას ყოფილების სარეცელი" წარმოგვიდგენენ. მთავარ როლებში ვიხილავთ ნანუკა ხუსკივაძესა და პაატა გულიაშვილს. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა მირიან შველიძემ, ხოლო მუსიკალურად - მიშა მდინარაძემ. ორიგინალური მუსიკა სავარაუდოდ ამ სპექტაკლს დაუვიწყარ სანახაობად აქცევს.

*24 საათი*

## კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი გაიხსნა

თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან სამუსიკო სკოლა დაარსდა.

2009/2010 სასწავლო წლისათვის სამუსიკო სკოლა აცხადებს მიღებას I-XI კლასის ჩათვლით. სკოლაში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო
2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები
3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები

პირველ კლასში ჩარიცხვა განხორციელდება მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად. მისაღები გამოცდები ჩატარდება სახელმწიფო კონსერვატორიაში

სამუსიკო სკოლაში საბუთები მიიღება ყოველდღე 20 მაისიდან 11-დან 17 სთ-მდე

საბუთების მიღება შეწყდება 2 ივნისს 16 სთ-ზე. მისაღები გამოცდები დაიწყება 4 ივნისს. ღია კარის დღე ჩატარდება 25 მაისს, ორშაბათს, 12 საათზე კონსერვატორიის კამერულ დარბაზში.

*24 საათი*

## მარჯანიშვილის თეატრში სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო გაიმართება

21 მაისს, 20:00 საათზე, მარჯანიშვილის თეატრში მსახიობ სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო გაიმართება. როგორც მისმა ვაჟმა ნიკოლოზ შენგელაიამ განაცხადა, ამ დღესთან დაკავშირებით, 15:00 საათზე, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის "ერთი მსახიობის თეატრში" თეატრალური ფესტივალი "სოფიკო" დაიხურება, 20:00 საათზე კი სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო გაიმართება. საღამოზე მონაწილეობას მისი მეგობრები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მომღერლები და მსახიობები მიიღებენ.

"მე თეატრით ვცხოვრობ, თეატრით ვსუნთქავ, თეატრი ჩემი ცხოვრება და გულის ძგერაა. მიყვარს და ვემსახურები მას ბოლომდე, ვცდილობ მეც ვთქვა რამ ქართულ თეატრსა და კინოში. ჩვენი სიცოცხლე, წუთისოფელი ხომ მართლაც წუთია და ბედნიერია ის, ვინც ამ წუთს ბოლომდე დახარჯავს და ნაყოფიერად გამოიყენებს", - ამბობდა სოფიკო ჭიაურელი.

შეგახსენებთ, რომ სოფიკო ჭიაურელი 1937 წლის 21 მაისს ლეგენდარული მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძისა და კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ოჯახში დაიბადა. იგი საქართველოს სსრ-ის სახალხო არტისტი (1976) და სომხეთის სსრ-ის სახალხო არტისტი (1979) იყო. სოფიკო ჭიაურელს როლები ასზე მეტ კინოფილმში აქვს შესრულებული და ერთადერთი საბჭოთა მსახიობია, რომელიც შვიდჯერ დაჯილდოვდა პრემიით ქალის როლისთვის საუკეთესო შესრულებისთვის საერთაშორისო კონკურსებზე.

სოფიკო ჭიაურელს ორი ძმა ჰყავდა - ოთარ ჭიაურელი (1915-1964) და რამაზ ჭიაურელი. იგი განთქმული კინორეჟისორის, გიორგი დანელიას დეიდაშვილი იყო (ვერიკო ანჯაფარიძის მხრიდან).

1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (ბ. ბიბიკოვის სტუდია) და 1968 წლიდან კოტე მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობია, ხოლო 1964-68 წლებში კი - რუსთაველის თეატრის.

მსახიობი 2008 წლის 2 მარტს თბილისში, 71 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, მეუღლის - კოტე მახარაძის გვერდით.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

პირველი გვერდიდან

ფილმში სულ ორი მოქმედი გმირია, ცოლი და ქმარი - შარლოტა გინსბურგისა და უილიამ დეფოს ურთიერთობა, სიყვარული, სიძულვილი, სექსი, ძალადობა, სადიზმი, მაზოხიზმი და ა.შ. "ანტიქრისტეს" ზუსტი ჟანრული განსაზღვრება რთულია - "თეოლოგიური, ფსიქოლოგიური ჰორორი, პორნოგრაფიის ელემენტებით" - ასე განუსაზღვრა ჟანრი ტრიერის ახალ ფილმს, ერთ-ერთმა პოპულარულმა კინოჟურნალმა.

ფილმის პირველ ეპიზოდში, მაშინ როდესაც შეყვარებულ ცოლ-ქმარს სექსი აქვს, მათი პატარა შვილი საკუთარი საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ვარდება. ეს არის პირველი ნაწილი, რომელიც შავ-თეთრ ფირზე, ჰენდელის მუსიკის ფონზე, მუსიკალური კლიპივით არის აწყობილი. პარალელური მონტაჟით ნაჩვენები ვნებიანი სიყვარული და ამ სიყვარულის შედეგის, ბავშვის სიკვდილი. კვანძი საწყისშივე იხსნება, ამის შემდეგ იწყება მისი შეკვრა. მშობლების მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელიც დეპრესიული, ნერვიული და ხან შიზოფრენიულია. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ხელს უშლიან, ისინი ამსუბუქებენ საკუთარ ტკივილს და ამწვავებენ... ეს არის ფილმი არა მხოლოდ განცდების, არამედ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ, რომელიც ფონ ტრიერის შემოქმედებას ყველაზე მეტად აახლოვებს ინგმარ ბერგმანთან. ეს ბერგმანისეული გმირებია, რომელნიც არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებითაც გამოხატავენ შეგრძნებებს ერთმანეთის მიმართ. ლარს ფონ ტრიერი საკუთარ თავს ფსიქოთერაპიას უტარებს, საკუთარ დეპრესიას მკურნალობს და ამ საშუალებით ცდილობს "ეშმაკების" განდევნას. ნებისმიერ ინტერვიუში ლარს ფონ ტრიერი უარყოფს მოსაზრებას, რომ "ანტიქრისტე" მისი თერაპიაა და ყველგან აღნიშნავს: ""ეშმაკები" მხოლოდ მაშინ არიან საშიშები, ვიდრე მათ არ იცნობ, როცა მათ ახლოდან ნახავ ისინი შენი მეგობრები ხდებიან". ფილმი ასევე სავსეა ტრიერისთვის დამახასიათებელი ბიბლიური სიმბოლოებით, თუმცა, თავად რეჟისორი ამბობს: "ჩემთვის პროტესტანტიზმი ყოველთვის ერთი დიდი ურჩხული იყო, ზოგადად რელიგია კი ერთი დიდი ნეხვია! მერწმუნეთ, ეს კარგად ვიცი!"

მიუხედავად ამისა, ფილმის გმირები "განკურნების" მიზნით "ედემის ბაღში" მიდიან, ველური გარემოს პირობებში, სადაც ისინი მარტონი არიან და იქ იწყებენ ერთმანეთის დახმარებას და ხელმეორედ შეცნობას. ქმარი, რომელსაც სურს ნერვული ფსიქოზით დაავადებულ ცოლს დაეხმაროს, ფილმის ფინალში მას საკუთარი ხელებით ახრჩობს. მიუხედავად იმისა, რომ ლარს ფონ ტრიერი მის ფემინოფობიას ღიმილით უარყოფს, მთელი ფილმის განმავლობაში გვაჩვენებს, როგორი დაუნდობელი, სასტიკი, ეგოისტი და მოძალადეა შარლოტა გინსბურგის გმირი. ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც ის ქალის უფლებებზე, გენდერულ ბალანსზე საუბრობს და ცდილობს ქალს არ მიანიჭოს განსხვავებული მნიშვნელობა, ასეთი ფრაზა ეპარება: "მე არ მჯერა ჯადოქრების, არ ვფიქრობ რომ ქალი ან მისი სექსუალობა ბოროტია, მაგრამ მე ის მაშინებს". მისი ფილმი "ანტიქრისტეც" იმის განადგურების მცდელობაა, რაც ყველზე მეტად უყვარს და აშინებს. ლარს ფონ ტრიერი ორწლიანი პაუზის და ღრმა დეპრესიის შემდეგ ამ ფილმით ყველა იმ ფობიის დამარცხებას ცდილობს, რომელსაც ვერბალურად უარყოფს - ის ებრძვის რელიგიას, ქალს, სიკვდილს.... სექსუალური სცენებიც, რომლებიც თერაპიის ერთ-ერთი ხერხია და რომლებიც პორნოგრაფიულ სტილშია გადაწყვეტილი და რომელთაც ჰორორის ელფერიც დაკრავთ - ის დეტალია, რომელიც ასევე თერაპიის ფუნქციას ასრულებს.

შეიძლება ითქვას, რომ ლარს ფონ ტრიერის შემოქმედება სხვა, ახალ ფაზაში გადავიდა. დასრულდა ტრიერის ტრილოგიები კეთილი ადამიანების შესახებ, არ დასრულდა და მესამე ნაწილის გარეშე დარჩა მისი პირობითი სამყაროს ისტორია ("დოგვილი", "მანდერლეი")... პარანოიით შეპყრობილი რეჟისორი, შესაძლებელია მის ყველაზე პესიმისტურ, მძიმე, დეპრესიულ, მაგრამ ყველაზე დამაჯერებელ - ნამდვილ კინოს იღებს, რომელიც თითოეულ მაყურებელს, სხეულში უძვრება და ხელს უფათურებს! "ანტიქრისტე" მძიმედ დაავადებული ხელოვანის გადაღებული კინონაწარმოებია, რომელიც გვაბრაზებს, გვთრგუნავს და გვიჩენს კითხვას - რატომ გავხდით ლარს ფონ ტრიერის დეპრესიის თვითთერაპიის მსხვერპლი?!

ტრიერის ფილმის შემდეგ, განკურნებისთვის საუკეთესო საშუალებაა კენ ლოუჩის ფილმი "ერიკის ძებნაში". 4 წლის წინ კენ ლოუჩის გენიალური ფილმი "The wind that shakes the barley" ოქროს პალმის რტოს მფლობელი გახდა. წელს ის ახალი ფილმით ჩამოვიდა კანში.

ერთ-ერთ მთავარ როლს ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა ასრულებს, რომელმაც საფეხბურთო კარიერა "მანჩესტერში" დაასრულა. ბრიტანეთში მას მეფე ერიკს ეძახიან. კენ ლოუჩის მთავარი გმირი კანტონას ერთ-ერთი ფანია. შუახნის მამაკაცს, რომელსაც მეორე ცოლისგან დატოვებული ორი თინეიჯერი გერი ჰყავს, ჯერ ისევ 30 წლის წინ გაშორებული პირველი ცოლი უყვარს და ძირითადად მეგობრებთან ერთად ლუდის სმით არის დაკავებული. მაყურებლების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ფილმი კომედიად აღიქვა. "მე მინდოდა გადამეღო ფილმი, რომელსაც ადამიანი სახეზე ღიმილით შეხედავდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კომედიაა. სრულიად შესაძლებელია "ერიკის ძებნაში" ტრაგედიად ჩავთვალოთ" - ამბობს კენ ლოუჩი. ეს არის კაცი, რომელსაც პრობლემები აქვს გერებთან, (რომელთაც შვილებივით ზრდის), ოცნებობს საყვარელი ქალის დაბრუნებაზე და მისი ცხოვრება ცარიელია. პაბში შეკრებილი მეგობრები ათას სისულელეზე საუბრობენ, შემდეგ ყველა თავის წილ ფულს იხდის და იშლებიან. სწორედ ამ დროს მოდის მის დასახმარებლად ერიკ კანტონას წარმოსახვა, რომელიც ასწავლის როგორ უნდა გაუმკლავდეს პრობლემებს და ეხმარება. ეს არის ფილმი თანადგომაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთიანობაზე. სწორედ ამიტომ აირჩია კენ ლოუჩმა სახელგანთქმული ფეხბურთელი და ფეხბურთი - ერთიანობის, გუნდურობის, ღირსების სიმბოლოდ. "როდესაც ერთად ვართ, გაცილებით უფრო ძლიერები ვართ, ეს ფილმიც მეგობრების სოლიდარობაზეა" - ამბობს ლოუჩი - "ჩვენ ყველანი ჩვენი საქმით ვართ დაკავებულნი, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადამიანები კონკურენტები უფრო არიან, ვიდრე მეგობრები".

ისევე როგორც ლარს ფონ ტრიერს, კენ ლოუჩსაც განსხვავებული, ახალი შემოქმედებითი თუ ასაკობრივი ეტაპი დაუდგა. მხოლოდ ფონ ტრიერისგან განსხვავებით, კენ ლოუჩი როგორც ნამდვილი იდეალისტი გამოსავალს ერთმანეთის სიყვარულში, თანადგომაში, დახმარებაში, სოლიდარობაში ხედავს, ამიტომ მისი ფილმი ფონ ტრიერის "სიკვდილის" შემდეგ - ახალი, თავიდან დაწყებული "სიცოცხლესავით არის".



ლარს ფონ ტრიერი.



კადრი ლარს ფონ ტრიერის ფილმიდან "ანტიქრისტე".

# როგორ ვაქციოთ მუზეუმი საგანმანათლებლო კერად?!

ბელა ჩეკურიშვილი


პროექტის პრეზენტაციაზე ეროვნულ მუზეუმში

გაიცნო სხვა ქვეყნების კულტურა, განავითარო შენი თავი და მოიაზრო საკუთარი ქვეყანა ინტერკულტურულ სივრცეში, თანამედროვე ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ევროკომისიის პროგრამა ამ საქმეში უდიდეს როლს მუზეუმებს აკისრებს და 2009 წლიდან ახორციელებს პროექტს მუზეუმები, როგორც სიცოცხლის მანძილზე სწავლის სივრცეები კულტურათშორისი დიალოგისათვის" პროექტი რეგიონალურია და 30 თვის განმავლობაში განხორციელდება აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოსა და რუსეთში. პროექტის ბიუჯეტი 550 ათას ევროს შეადგენს და მისი მიზანია ამიერკავკასიის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავება და კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების ხელშეწყობა ზრდასრულთა განათლების მეშვეობით ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

ევროკომისიის აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს შედგა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. როგორც მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გვითხრა, აღნიშნული პროექტის ეს მიმართულება ჩვენი ეროვნული მუზეუმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მუზეუმი მართლაც არ უნდა დარჩეს მხოლოდ მოწყენილობის და მტვრისა ადგილად და იგი საზოგადოების განათლების კერად უნდა იქცეს.

**დავით ლორთქიფანიძე**: ჩვენ არ ვართ მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი დაწესებულება, საზოგადოების განათლება რჩება ჩვენს პრიორიტეტად. ევროკომისიამ დააფინანსა პროექტი, სადაც 4 რეგიონალური ქვეყანა მონაწილეობს, აქადან 2 ქვეყანას ერთმანეთთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს. მიუხედავად ამისა, ევროკომისიამ ეს პროექტი წაახალისა და ევროპელების მესიჯად უნდა ჩავთვალოთ, რომ სწორედ მუზეუმები, და იქ დაცული კულტურა უნდა იქცეს ჭეშმარიტი ღირებულებების დამკანონებელი".

ევროკომისიის წარმომადგენელის ფრანსუა მასულის თქმით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროექტში მონაწილეობს საქართველო, რომელიც დღეს პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ევროპის ქვეყნებმა ერთმანეთი გაანადგურეს, მაშინ შეიმუშავეს ამ სახელმწიფოთა განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სწორედ ქვეყნებს შორის ერთობლივი პროექტების განხორცილებას გულისხმობდა.

ევროკომისიის გარდა პროექტის მხარდამჭერია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანაშრომლობის ინსტიტუტი - dvv international, რომელიც მუშაობს ზრდასრულთა განათლების სფეროში. როგორც მისმა წარმომადგენელმა მათიას კლინგერბერგმა გვაცნობა, პროექტის ფარგლებში ოთხივე ქვეყნის მუზეუმის თანამშრომლები გერმანიაში გაივლიან ტრენინგებს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის სხვადასხვა მუზეუმების წარმომადგენლებიც. ამასთან, ევროპის მუზეუმები დაინტერესებულნი არიან კარგად გაიცნონ საქართველოს და ზოგადად კავკასიის რეგიონის კულტურა.

პროექტი დაყოფილია 4 ჯგუფად და ითვალისწინებს სტრატეგიის შემუშავებას საზოგადოების განათლების კუთხით. დაგეგმილია ქსელის გაფართოება და მუზეუმის საქმიანობაში ბევრი მეგობრის ჩართვა, შესაბამისად დაგეგმილია ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას და მასმედიასთან ურთიერთობის გაღრმავებას. ამისათვის ეროვნულმა მუზეუმმა საზოგადოებრივი აზრის კვლევაც შეუკვეთა, იმის დასადგენად, თუ რას მოელის ქართველი საზოგადოება მუზეუმისაგან, როგორ პროექტებში სურს მონაწილეობის მიღება და რა ფორმითაა შესაძლებელი საგანმანათლებლო პოლიტიკის გააქტიურება.

პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია რეგიონალური ვორკშოპები, რომელიც საქართველოში გაიმართება. კავკასიისა და რუსეთის კულტურის პოპულარიზაციისათვის ამ რეგიონის ქვეყნებში მოეწყობა გამოფენები, ასევე ვირტუალური გამოფენები და ლექციები, შესაბამის ვებსაიტზე.

როგორც ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, მიხეილ წერეთელმა გვითხრა, პროექტი რამდენიმე თვეა ხორცილედდება და გარკვეული შედეგები უკვე მივილეთ. კერძოდ კი, ეროვნული მუზეუმის მეგობართა ასოციაციისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და ოფისი აღიჭურვა აპარატურით, რომელიც გახსნილია საზოგადოების ყველა წარმომადგენილისათვის, სტუდენტებისა და ხელოვნებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

# თუთარჩელა 5 წლის იუბილეს აღნიშნავს



21 მაისს კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში ქალთა ფოლკლორული ანსამბლის, თუთარჩელას საიუბილეო კონცერტია დაგეგმილი. ანსამბლი დაარსებიდან 5 წლის იუბილეს აღნიშნავს და ევროპის არაერთ ქალაქში გამართული კონცერტების შემდეგ მშობლიურ სცენაზე იმღერებს.

თუთარჩელა იმ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებს შორისაა, რომელსაც გაუმართლა და აქვს შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნის კულტურა უცხოელ მსმენელს გააცნოს. ძირითადად მის სიმღერას გერმანიის ქალაქებში უსმენენ, რადგან უკვე ორი წელია თუთარჩელას გერმანელი მენეჯერები ჰყავს. უტა ფრიჩმა თუთარჩელას შესახებ პირველად 2007 წელს შეიტყო, როდესაც ასევე გერმანელი რეჟისორის, რუტ ოლსანის მიერ ანსამბლის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი ჰაერივით აუცილებელი ნახა. იგი ანსამბლის ამჟამინდელ თანამენეჯერ რალფ ჰალბიგთან ერთად თუთრაჩელათი იმდენად დაინტერესდა, რომ ცოტა ხანში ანსამბლს გერმანიის ქალაქ რუდოლშტადის მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალზე გამოსვლის საშუალება მიეცა. მანამდე კი ქართველმა მომღერლებმა სატელევიზიო კომპანია WDR-ის ხმის ჩამწერ სტუდიაში ახალი ალბომი ჩაწერეს.

19 ივლისს თუთრაჩელა გერმანიის ქალაქ ლორაკში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ფესტივალ STIMMEN-Festival-ში, შემოდგომაზე კი დაგეგმილია კონცერტი პარიზში. რაც შეეხება ანსამბლის სამშობლოში მუშაობას, თუთარჩელა სისტემატურად მონაწილეობს ფესტივალ არტ გენსა და ჩვენებურებში . მართავს კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

დღეისთვის თუთარჩელას სამი სტუდიური ალბომი აქვს გამოცემული. პირველ ალბომში, რომელიც საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩაიწერა, მთლიანად ლაზური სიმღერებია შესული. თავად სიმღერები კი გოგონებს რუსთავში მცხოვრებმა ლაზმა ქალბატონმა, ნაზიბროლა მემეშიშმა შეასწავლა.

სამომავლოდ ანსამბლს არა ერთი საინტერესო პროექტი აქვს. მათ შორისაა ფოლკლორის თეატრის დაარსება, სადაც ქართულ ფოლკლორზე დაფუძნებული სანახაობები და უძველესი ქართული ლეგენდების თეატრალური ვერსიები დაიდგმება.ეს ყველაფერი კი მსოფლიოში ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის კეთდება.

# ჰიტლერის გაზაფხული

## ბერლინში ჰომოსექსუალი ფიურერის შესახებ სპექტაკლი დადგეს



მსოფლიო შეიცვალა და დღითიდღე სულ უფრო გვაოცებს. თუნდაც ის, რომ საუკეთესო რეპერი თეთრკანიანი ემინემია, ხოლო საუკეთესო გოლფის მოთამაშე შავკანიანი ტაიგერ ვუდსი, ამ ცვლილებების ტიპიური ილუსტრაციაა. ახლა კი გერმანელები გაგიჟდნენ და ოდესღაც ნაციის სიამაყის ჰიტლერის შესახებ ალტერნატიული ხასიათის მიუზიკლს დგამენ. ცნობილი შოუ პროდიუსერები ახლა უკვე ბერლინის კაბარე თეატრ დისტელის სცენაზეც შეგიძლიათ იხილოთ.

პროდიუსერები მელ ბრუკსის ცნობილი ფილმი და ბროდვეის შოუა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს. მასში მესამე რაიხის პერიოდია აღწერილი. სიუჟეტის ცენტრალური ფიგურა კი ცხადია თავად ადოლფ ჰიტლერია, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მრისხანე ფიურერის ნაცვლად მაყურებელი ჰომოსექსუალი ჰიტლერის ცხოვრებას ადევნებს თვალს.

დადგმაში ჰიტლერს ქალის სახელი - ელიზაბეტი ჰქვია და ყველასგან მოითხოვს, მხოლოდ ასე მიმართონ, ხოლო მის სამკლაურზე გამოსახული სვასტიკა ელვარე თვლებითაა გაფორმებული. ფიურერს გამუდმებით ქერა მოცეკვავე გოგონები ახლავს, ხელში კი ლუდის კათხა უჭირავს.

სიუჟეტის მთავარი ხაზი 60-იანი წლების ნიუ იორკში, ბროდვეის პროდიუსერის, მაქს ბილისტოკის ირგვლივ ვითარდება. მას სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, ამიტომ უნდა შეაგდგინოს გეგმა, რომელიც მის მიერ განხორციელებულ მაქინაციებს დაფარავს. ამისთვის კი რაც შეიძლება წარუმატებელი შოუ უნდა დააფინანსოს. შოუსთვის სცენარის დასაწერად იგი მოსულელო ნეონაცისტ დრამატურგს მოიწვევს, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა მესამე რაიხის სიდიადისა, ხოლო რეჟისორის ფუნქციას ჰომოსექსუალს დააკისრებს. რაც შეეხება ჰიტლერის როლის შემსრულებელს, არც მისი მოძებნა გაუჭირდება და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ მსახიობს დაიქირავებს, რომელსაც მეტსახელად LSD-ს ეძახიან. რამდენიმე კვირიანი მუშაობის შემდეგ შოუ ჰიტლერის გაზაფხული მზადაა, თუმცა მაქს ბილისტოკის სამწუხაროდ, მაყურებელი დადგმას უმაღლეს დონეზე გაკეთებულ სატირად მიიჩნევს და უმაღლეს შეფასებას მიანიჭებს.

როგორც ბერლინის გაზეთი Berliner Morgenpost წერს, პროდიუსერების წინასწარი ჩვენება უკვე შედგა. მას ჟურნალისტები და კრიტიკოსები დაესწრნენ, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს შოუ მაყურებელს მეტად გაამხიარულებს და წარმატებაც ექნება. სხვათა შორის, იგივე სპექტაკლი 2008 წელს ვენაშიც დაიდგა, თუმცა პრაქტიკულად ჩავარდა, რადგან ავსტრიელ მაყურებელს ძალიან არ მოეწონა ჰიტლერის ასეთი დაცინვა.

პროდიუსერები მელ ბრუკსმა 1968 წელს გადაიღო, მომდევნო წელს კი სცენარისთვის ოსკარიც მიიღო. მაშინდელი კრიტიკა და პრესა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ დადგმას, რადგან ევროპა ჯერ კიდევ იშუშებდა მეორე მსოფლიო ომისგან მიყენებულ ჭრილობებს, ომისგან დაზარალებულ ხალხს კი ჰიტლერის დაცინვა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ფილმის მიხედვით სპექტაკლის დადგმის განხორციელება მელ ბრუკსმა მხოლოდ 2001 წელს მოახერხა, მოგვიანებით კი იგივე დადგმები განხორციელდა კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში, არგენტინაში, იაპონიაში, დანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ესპანეთში, ჩეხეთში, მექსიკაში და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანაში.

სხვათა შორის, მელ ბრუკსის ფილმში სინჯების გავლას იმ დროისთვის სრულიად ახალგაზრდა და ყველასთვის უცნობი დასტინ ჰოფმანიც აპირებდა, თუმცა დამწყები მსახიობი მოულოდნელად კურსდამთავრებულის სინჯებზე მიიწვიეს. მელ ბრუკს მისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან ამავე ფილმზე მისის რობინსონის როლზე დამტკიცებული ენ ბენკროფტისგან (რომელიც ამ დროს ბრუკსის ცოლი იყო) იცოდა, რომ ჰოფმანს აუცილებლად მისცემდნენ როლს. 2005 წელს კი პროდიუსერების რიმეიკი გადაიღეს, რომელშიც ნათან ლეინი, მეტიუ ბროდერეკი, უმა ტურმანი და უილ ფერელი თამაშობდნენ.

## საქმე N2/2629
## განჩინება საქართველოს სახელით
## საჯარო შეტყობინების შესახებ
## 04 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე
ელისო ტუკვაძემ
**მოსარჩელე :** სს "საქართველოს ბანკი"
**მოპასუხეები:** შპს "ტიესვი კომპი," იური უთნელიშვილი.
**დავის საგანი**: დავალიანების დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და
გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2008 წლის 11 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენელმა. მოპასუხეებად დაასახელა შპს "ტიესვი კომპი" და იური უთნელიშვილი. სარჩელით მოითხოვა დავალიანების თანხის შპს "ტიესვი კომპი"სათვის დაკისრება და დავალიანების დაფარვის მიზნით იური უთნელიშვილის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით:

2000 წლის 5 იანვარს სს "საქართველოს ბანკ"სა და შპს "ტიესვი კომპ"-ს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე შპს "ტიესვი კომპი"-ს სასარგებლოდ გაიცა კრედიტი 8000(რვა ათასი)აშშ დოლარის ოდენობით, ოთხი თვის ვადით, სარგებლის წლიური 48% დარიცხვით. კრედიტის უზრუნველსაყოფად (მათ შორის ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის, პირგასამტეხლოსა, სასამართლო და უძრავ/მოძრავ ქონებაზე განხორციელებული სააღასრულებო მოქმედებათა ხარჯის გათვალისწინებით) 2000 წლის 5 იანვრის იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო სს "საქართველოს ბანკ"სა და იური უთნელიშვილს შორის. ხელშეკრულების თანახმად იპოთეკით დაიტვირთა იური უთნელიშვილის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში ფოთის ქ. N7- ში მდებარე 188 კვ. არასაცხოვრებელი ფართი.

საკრედიტო ხელშეკრულებაში 2000 წლის 8 ივნისს შევიდა ცვლილება, შეიცვალა სესხით სარგებლობის ვადა და განისაზღვრა ექვსი თვით 2000 წლის 6 ივლისამდე. ხოლო მოგვიანებით მოხდა, სესხის კონვერტირება და საგადახდო ვალუტად დაფიქსირდა ქართული ლარი.

ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხეს სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვა უნდა ეწარმოებინა გრაფიკების მეშვეობით, რომლებიც ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მოპასუხის მიერ აღნიშნული გრაფიკი არის დარღვეული, რის გამოც 2007 წლის 29 მარტს გაეგზავნა კიდეც გაფრთხილების წერილი. დღეისათვის სს "საქართველოს ბანკი"-ს წინაშე შპს "ტიესვი კომპის" დავალიანება შეადგენს 15390 ლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა არის 8000აშშ დოლარი კონვერტირებული ლარებში - 14247 ლარი და სესხის სარგებელი 1143 ლარი.

სარჩელის თანახმად სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენელმა მოითხოვა დავალიანების თანხის 15390 ლარის შპს "ტიესვი კომპი"სათვის დაკისრება და დავალიანების დაფარვის მიზნით იური უთნელიშვილის კუთვნილი არსებული ქ. თბილისში ფოთის ქ. N7- ში მდებარე იპოთეკით დატვირთული 188 კვ. არასაცხოვრებელი ფართის რეალიზაცია.

სარჩელი წარმოებაშია მირებული 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით. საქმის მომზადების მიზნით სარჩელი და თანდართული მასალები რამოდენიმეჯერ გაეგზავნათ მოპასუხეებს საქმის მასალებში დაფიქსირებულ მისამართებზე და ვერ ჩაბარდა მოპასუხე იური უთნელიშვილს სხვადასხვა მიზეზით. კერძოდ: სარჩელი და მასალები იური უთნელიშვილს გაეგზავნა ქ. თბილისში კიკვიძის ქ.N4-ში, საიდანაც გზავნილი დაბრუნდა ადრესატისათვის ჩაუბარებელი შეტყობინებით, რომ მისამართი არასწორია და იური უთნელიშვილი არ ცხოვრობს. ჩაუბარებელი დაბრუნდა გზავნილი თბილისი, კოსტავას ქუჩა N22/48დან, სასამართლო კურიერის აქტით, რომ აღნიშნულ მისამართზე მაცხოვრებლები არ იცნობენ ადრესატას და ვერც კურიერმა მოიძია იგი. სარჩელი და თანდართული მასალები იური უთნელიშვილს გაეგზავნა ასევე იპოთეკით დატვირთული ქონების მისამართზეც - თბილისი, ფოთის ქ. N7-ში, საიდანაც გზავნილი დაბრუნდა შეტყობინებით, რომ აღნიშნულ პიროვნებას მეზობლები საერთოდ არ იცნობენ და მათი თქმით არ ცხოვრობს.

მოპასუხე იური უთნელიშვილის სწორი საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენელმა 2008 წლის 4 დეკემბერს წარმოადგინა ცნობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან, სადაც იური უთნელიშვილის სარეგისტრაციო მისამართად მითითებულია რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. N22კორპ. ბინაN48. აღნიშნული ცნობის საფუძველზე სარჩელი და თანდართული საბუთები იური უთნელიშვილს გაეგზავნა მითითებულ მისამართზე ქ. რუსთავში, როგორც ფოსტის საშუალებით, ისე მოგვიანებით საუბნო სამსახურის დახმარებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე. ფოსტის საშუალებით გაგზავნილი გზავნილი სასამართლოში დაბრუნდა ჩაუბარებელი, მითითებით, რომ მისამართზე არავინ გამოეხმაურა, ხოლო საქართველოს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს II განყოფილების 2009 წლის 02 მარტის პასუხიდან ირკვევა, რომ მეზობლების განმარტებით იური უთნელიშვილი წლების მანძილზე ცხოვრობს თბილისში და ზუსტი მისამართი მათთვის უცნობია.

გარდა ამისა, იური უთნელიშვილისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარება დაევალა ასევე საქართველოს შსს შესაბამის საუბნო სამსახურს ქ. თბილისში, ფოთის ქ. N7-ის მიხედვით. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 2009 წლის 20 თებერვლის პასუხით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ფოთის ქ. N7-ში მაცხოვრებლების განმარტებით ამ მისამართზე იური უთნელიშვილს არასდროს უცხოვრია.

რაც შეეხება მეორე მოპასუხეს შპს "ტიესვი კომპ"-ს სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნა სამეწარმეო რეესტრში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა შპს "ტიესვი კომპი"-ს დირექტორის ზურაბ წვერიკმაზაშვილის მეუღლეს მედეია ოდიკაძეს დირექტორზე გადასაცემად 2008 წლის 12 დეკემბერს.

2009 წლის 30 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენელმა და იშუამდგომლა სარჩელის მოპასუხე იური უთნელიშვილისათვის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე იური უთნელიშვილის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია მას უნდა ეცნობოს მოცეული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 232-ე პრიმა, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

**1.** ეცნობოს მოპასუხე იური უთნელიშვილს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. N6)მოსარჩელე სს "საქართველოს ბანკის" მიერ აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც შპს "ტიესვი კომპი"-სთან ერთად დასახელებულია მოპასუხედ. სარჩელის მიხედვით დავის საგანს წარმოადგენს შპს "ტიესვი კომპი"სათვის დავალიანების დაკისრება და იური უთნელიშვილის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია;

2. მოპასუხე იური უთნელიშვილს პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) დღე;

**3.** ეცნობოს მოპასუხე იური უთნელიშვილს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე **გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.** ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს.

**4.** ეცნობოს მოპასუხე იური უთნელიშვილს რომ სს "საქართველოს ბანკი"ს მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: 2000 წლის 05 იანვრის საკრედიტო ხელშეკრულების დამოწმებული ასლი, აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2000 წლის 8 ივნისის შეთანხმების ასლი, 2000 წლის იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებული ასლი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ნაერთი ამონაწერი პირადი ანგარიშიდან. ასევე რწმუნებულებები და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადსტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს სასამართლოში;

**5.** განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";

**6.** განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

**7. საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ "24 საათში" უნდა განხორციელდეს 2009 წლის 23 მაისამდე** რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გაზეთ "24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;

**8.** სარჩელი თანდართული მასალებით იური უთნელიშვილსათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

**9.** განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე /ელისო ტუკვაძე/**

---

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს

## განცხადება

2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ***გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის*** მსურველ პირთათვის

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 11 მაისის N172/ნ ბრძანებით დამტკიცებულია მოსახლეობის ***გულის ქირურგიის*** სახელმწიფო პროგრამა.

2. ზემოაღნიშნული ბრძანების დანართი N12-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, მოსახლეობისათვის სათანადო მომსახურების მიწოდება ხორციელდება ***მოსარგებლეთა ვაუჩერიზაციის გზით***. კარდიოქირურგიის ინდივიდუალური ***ვაუჩერის მფლობელს***, პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღებისას აქვს ***თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა სამედიცინო დაწესებულებებს შორის***.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 1 ივნისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება:

4.1. გულის თანდაყოლილი მანკებით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა.

4.2. შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით და გულის სიმსივნით დაავადებული 60 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა.

***შენიშვნა: პროგრამის სერვისით ვერ ისარგებლებენ „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის" და "სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლეები, ასევე „საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის N256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეები და „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეები.***

4. გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეების მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

ე) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპარად - ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო მე-2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

---

საქმე №2/6
**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
ხარვეზის დადგენის შესახებ
06 აპრილი, 2009 წელი დ. ლენტეხი

ლენტეხის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე ნანა ჯანხოთელმა
მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მოპასუხე: ვახტანგ მაღლაკელიძე
ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე დავალიანების ამოღების შესახებ განცხადების წარმოებისათვის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

სასამართლო გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ იგი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

სასამართლო თვლის, რომ გადახდის ბრძანება ვერ აღსრულდება, თუ არ არის ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი, რის გამოც არსებობს იმის აუცილებლობა, რომ გადახდის ბრძანება (განცხადება) ეცნობოს მოპასუხეს საჯარო გამოცხადების გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი არ დაიშვება, თუ ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 302-ე, 305-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. განმცხადებელმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხარვეზის შევსების მიზნით ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს აცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.
2. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვროს 10 (ათი) დღე განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან.
3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო უარს ეტყვის მას დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე: /ნანა ჯანხოთელი/

# სპორტი

## ბენიტესს კალაძე სჭირდება

ჯერ კიდევ გასულ სეზონში ლივერპულის მთავარი მწვრთნელი რაფა ბენიტესი ამბობდა, დაცვის გასაძლიერებლად კახა კალაძე მჭირდებაო. მაშინ კლუბის მესვეურებმა ქართველი მცველის შესაძენად საჭირო თანხა მწვრთნელს არ მისცეს და კალაძე, რომელიც თითქოს მზად იყო მერსისაიდულ კლუბში გადასასვლელად, მილანში დარჩა. გასულ ზაფხულს კალაძეს მართლაც ჰქონდა მიზეზი, რომ ინგლისში გადაბარგებულიყო - ბოლოს და ბოლოს, ლივერპული , მილანისგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა.

ბენიტესი იმდენად გაანაწყენა კლუბის ამერიკელი მესვეურების უარმა, რომ ლამის ლივერპულიდან წავიდა. შუა სეზონში კი ესპანელი ღიად დაუპირისპირდა ჰიკსს და ჯილეტს. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ისიც კი თქვა, გუნდის ყველა პრობლემა იქიდან მოდის, რომ ზაფხულში კალაძის დონის მცველი არ მიყიდეთო.

ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა - ბენიტესი ლივერპულში დარჩა და სულ ცოტა დააკლდა, რომ ჩემპიონის ტიტული მოეგო.

მოახლოვდა სატრანსფერო სეზონი და რაფა ბენიტესი კვლავ კალაძეზე ალაპარაკდა. ლივერპულს მაღალი დონის მცველი მართლაც სჭირდება. სემი ჰიპია ბაიერში მიდის, შესაძლოა აგერმაც დატოვოს გუნდი და ამ ვითარებაში მერსისაიდელებს კარგი ცენტრალური მცველი ჰაერივით სჭირდებათ.




*ლივერპული კალაძეში 8 მილიონს იხდის*

გუშინ ბრიტანულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ლივერპული მზადაა, კალაძე იყიდოს და მილანს 8 მილიონი ევრო გადაუხადოს.

რა თქმა უნდა, ეს ტრანსფერი შესაძლებელია, მით უმეტეს, ზემოხსენებული აგერის შეძენა სწორედ მილანს სურს.

ტრავმისა და ამის გამო გადატანილი ოპერაციის გამო კალაძეს მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარი თითქმის მთლიანად გაუცდა, თუმცა ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის და ზაფხულში სრულფასოვან მზადებას დაიწყებს. ინგლისური "დეილი სთარის" ინფორმაციით, კახას შეძენა ასევე სურთ "პორტსმუთსა" და ლევერკუზენის "ბაიერს".

თუმცა ეს ტრანსფერი შეიძლება ჩაიშალოს იმის გამო, რომ თავად კალაძე არ ფიქრობს მილანიდან წასვლას და არც როსონერის ხელმძღვანელობა აპირებს ქართველ მცველს შეელიოს.

ამას წინათ ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ მომავალ სეზონში დაცვის ცენტრში კალაძე და ნესტა ითამაშებენ. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი - მომავალ სეზონში მილანის მწვრთნელი კარლო ანჩელოტი აღარ იქნება და რომელ ფეხბურთელებზე გააკეთებს აქცენტს მილანის ახალი მწვრთნელი, ჯერ უცნობია.

## მარკოიშვილი ბრინჯაოს მიუახლოვდა

მართალია, სეზონის დასაწყისში მანუჩარ მარკოიშვილის ბკ კიევის მთავარი მიზანი უკრაინის ჩემპიონის ტიტულის მოგება იყო, მაგრამ შუა სეზონში განვითარებული მოვლენების გამო დედაქალაქურ გუნდს ჩემპიონობის დიდი პრეტენზია ვერ ექნებოდა.

რეგულარული სეზონის მსვლელობისას ბკ კიევი თითქმის განახევრდა. ლეგიონერებიდან გუნდს მხოლოდ მანუ შემორჩა და, ის რომ არა, შესაძლოა კიევურ გუნდს ნახევარფინალშიც ვერ ეთამაშა.

ნახევარფინალურ სერიაში გუნდს ვერც მარკოიშვილმა უშველა და ახლა ბკ კიევი ბრინჯაოს მედლისთვის იბრძვის.

ეგრეთ წოდებულ მცირე ფინალში ბკ კიევს ხიმკი ხვდება. გაიმართა სერიის პირველი მატჩიც, რომელიც მარკოიშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით კიეველებმა მოიგეს - 74:65 და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

მარკოიშვილმა მოედანზე 38 წუთი გაატარა და 26 ქულით, 4 მოხსნით, 2 პასითა და



*მანუჩარ მარკოიშვილმა ბკ კიევს მოაგებინა*

1 ჩაჭრით ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

მან 9-დან 5 ორქულიანი, 9-დან 5 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა და ამდენივე ფოლი მიიღო.

დასკვნითი მეოთხედის წინ კიეველები 8 ქულას აგებდნენ, თუმცა, ბოლო ათ წუთში მეტოქეს 25:8 მოუგეს და გამარჯვება იზეიმეს.

დასკვნით 6 წუთში მარკოიშვილმა 4 სამქულიანი ჩააგდო, სულ კი გადამწყვეტ ათ წუთში 15 ქულა მიითვალა.

ბკ კიევის ოფიციალურ ვებგვერდზე ამ თამაშის მიმოხილვაში ძირითადად ქართველზეა საუბარი. უკრაინელმა ჟურნალისტმა მანუს დიდი ხოტბა მიუძღვნა. მოედანზე თითქოს მხოლოდ მარკოიშვილი იყო. შორეულ ტყორცნას ლამაზი დანკი მიაყოლა. მას ყველაფერი გამოსდის , - წერია ბკ კიევის ვებგვერდზე.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა სამ მოგებამდე გრძელდება. მომდევნო მატჩი 20 მაისს ისევ კიევში გაიმართება.

### ˝ბორჯღალოსანთა˝ პოზიცია უცვლელია

ორშაბათს გამოქვეყნებული IRB-ს რეიტინგში საქართველოს სარაგბო ნაკრები 70.39 ქულით კვლავ მეცამეტე ადგილზეა.

გასულ კვირაში რეიტინგში ცვლილებები არ მომხდარა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ სანაკრებო დონეზე თამაშები არ ჩატარებულა.

საქართველოს ნაკრებს კი ცვლილებები ალბათ მხოლოდ ზაფხულში შეეხება, როდესაც ჩვენი გუნდი კანადაში გასამართ ჩერჩილის თასზე მიიღებს მონაწილეობას. ამ ეტაპისთვის ტიმ ლეინის გუნდის უმთავრესი სარეიტინგო მიზანი, ცხადია, ადგილის შენარჩუნებაა. ჩერჩილის თასზე წარმატებული თამაშის შემთხვევაში კი მეცამეტე პოზიციის შენარჩუნება გარანტირებულია და შესაძლოა ბორჯღალოსნებმა წინაც კი წაიწიონ.

რეიტინგის სათავეში კვლავ რჩება სამხრეთ ნახევარსფეროს დიდი სამეული - ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია.

IRB-ს რეიტინგი 18 მაისისთვის

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 ქულა |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 85.86 |
| 4.ირლანდია | 83.27 |
| 5.არგენტინა | 81.56 |
| 6.ინგლისი | 80.96 |
| 7.უელსი | 80.59 |
| 8.საფრანგეთი | 79.94 |
| 9.ფიჯი | 75.24 |
| 10.შოტლანდია | 75.23 |
| 11.სამოა | 72.57 |
| 12.იტალია | 71.23 |
| **13.საქართველო** | **70.39** |
| 14.ტონგა | 70.05 |
| 15.კანადა | 69.12 |
| 16.იაპონია | 68.05 |
| 17.რუსეთი | 66.57 |
| 18.რუმინეთი | 64.26 |
| 19.აშშ | 63.55 |
| 20.ურუგვაი | 63.16 |
| 21.პორტუგალია | 62.16 |
| 22.ესპანეთი | 59.01 |
| 23.ჩილე | 57.95 |
| 24.ს.კორეა | 57.90 |
| 25.ნამიბია | 56.82 |
| 26.გერმანია | 55.35 |
| 27.ბრაზილია | 54.97 |
| 28.ბელგია | 54.46 |
| 29.ყაზახეთი | 54.27 |
| 30.უკრაინა | 54.17 |

### ქეცბაია კოკალისს 25 მაისს ათენში შეხვდება

თემურ ქეცბაია 25 მაისს ჩავა ათენში და შეხვდება "ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტს სოკრატის კოკალისს, რათა ოფიციალურად გაფორმდეს ის შეთანხმება, რაზეც მათ ადრე მოილაპარაკეს. ქართველი მწვრთნელის კვიპროსიდან საბერძნეთის დედაქალაქში ჩასვლა იმიტომ დაგვიანდა, რომ "ოლიმპიაკოსი" თავის მეპატრონესთან ერთად ვიეტნამში იმყოფებოდა. წინასწარი მონაცემებით, "ანორთოსისის" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გამყვანი სპეციალისტი ათენურ კლუბთან 1+1 კონტრაქტს გააფორმებს. ქეცბაიას წლიური ანაზღაურება 500 ათასი ევრო იქნება, პლუს 200 ათასი ბონუსის სახით (იმ შემთხვევაში, თუ გუნდი საბერძნეთის ჩემპიონი გახდება).

### რანიერი ˝იუვენტუსიდან˝ გაუშვეს

ტურინის იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ბებერი ქალბატონის მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენეს. ეს გადაწყვეტილება ტურინელთა დირექტორატმა იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მიიღო.

რანიერის ფორმაციის იუვენტუსი განსაკუთრებული თამაშით არ გამოირჩეოდა. ამ გუნდს იტალიელმა ჟურნალისტებმა სამართლიანად შეარქვეს გუნდი ფანტაზიის გარეშე . დარჩენილ ორ ტურში იუვენტუსს ტურინელთა ყოფილი მცველი ჩირო ფერარა უხელმძღვანელებს. შემდეგ კი ახალი კვალიფიციური მწვრთნელის ძიებას დაიწყებენ.

### გერმანულ-უკრაინულ მატჩს ესპანელი განსჯის

დღეს თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიმართება უეფას თასის ფინალური მატჩი, რომელშიც გერმანული ვერდერი და უკრაინული შახტარი შეხვდებიან ერთმანეთს. მატჩს გამოცდილი ესპანელი არბიტრი ლუის მედინა კანტალეხო განსჯის.

უეფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კანტალეხოს დახმარებას გაუწევენ თანამემამულე ლაინსმენები ხესუს კალვო გუადამარო და რობერტ დელ პალომარი. სარეზერვო მსაჯი კი ასევე ესპანელი ალფონსო ბერეს ბურული იქნება.

### ანჩელოტი "ჩელსისთან" კონტრაქტს აფორმებს

პრესტიჟული იტალიური გამოცემის გაძეტა დელო სპორტის ინფორმაციით, 30 მაისს მილანის ახლანდელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჩელსისთან კონტრაქტს გააფორმებს.

მოსალოდნელია, რომ ჩელსი დანიშვნის შესახებ ინგლისის თასის ფინალში ევერტონთან მატჩის შემდეგ გამოაცხადებს, ოფიციალური პრეზენტაციის ნაცვლად კი ანჩელოტი ინტერვიუს მისცემს ლონდონელთა საკლუბო ტელევიზიას Chelsea TV-ს.

ჩელსის ახლანდელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვებს არისტოკრატებს და რუსეთის ეროვნულ ნაკრებში გააგრძელებს მუშაობას.

### ვან ბასტენი "მილანში" ბრუნდება

უკვე გადაწყდა, რომ კარლო ანჩელოტი ჩელსიში გადადის, მის ნაცვლად კი მილანის მთავარი მწვრთნელის პოსტზე შესაძლოა ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი დაინიშნოს. ეს ინფორმაცია გაახმაურა იტალიური გრანდის სამწვრთნელო შტაბის წევრმა ფილიპო გალიმ - ვან ბასტენის კარგმა მეგობარმა.

გალის განცხადებით, კვირას მარკო მილანში იმყოფებოდა და მეგობრებთან ერთად ივახშმა. ამ დროს ჰოლანდიელის სამომავლო გეგმებზე ჩამოვარდა საუბარი.

აიაქსში მისი მუშაობა შევაფასეთ, შემდეგ კი მილანში მისი შესაძლო გამოჩენაც განვიხილეთ. კლუბი ვან ბასტენს ოფიციალურად არ დაკავშირებია, თუმცა, ანჩელოტის საკითხის გარკვების შემდეგ ბევრი რამ ნათელი გახდება , - დასძინა გალიმ.

პროფესიული ფეხბურთელის კარიერის დიდი ნაწილი ვან ბასტენმა სწორედ მილანში გაატარა და კლუბს დიდი წარმატებებიც მოუტანა. რაც შეეხება მის სამწვრთნელო კარიერას, თავდაპირველად მფრინავი ჰოლანდიელი ნარინჯისფერთა ნაკრებს ედგა სათავეში, შემდეგ აიაქსი ჩაიბარა, მაგრამ ვან ბასტენის გუნდმა სეზონი ჩააგდო და აიაქსის მესევურებმაც მწვრთნელი თანამდებობიდან დაითხოვეს. ასე რომ, ახლა მარკო ვან ბასტენი უმუშევარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ მილანის მესვეურები აპირებენ, გუნდის მწვრთნელად მხოლოდ ის ადამიანი დააყენონ, ვისაც თავის დროზე ამ კლუბში ფეხბურთი უთამაშია, სრულიად რეალურია, რომ ვან ბასტენმა როსონერი ჩაიბაროს.

### ვიზე დააჯარიმეს

10 მაისს ვერდერისა და ჰამბურგის მატჩის შემდეგ ბრემენელთა მეკარემ ტიმ ვიზემ, მსუბუქად რომ ვთქვათ, უტაქტობა ჩაიდინა. ბრემენელი ფანების ყიჟინას მან მეგაფონითააყოლა: ჰამბურგელებო, თავზე გიქენითო!

ამ მატჩამდე ვერდერმა ჰამბურგი ჯერ გერმანიის თასიდან გააგდო, მერე კი უეფას თასის ნახევარფინალშიც დაჯაბნა.

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა ბრემენის ვერდერის მეკარის ტიმ ვიზეს საქციელი განიხილა და მეკარეს 8-ათასევროიანი ჯარიმა დააკისრა.

### ბერგერმა "არმინიას" უნდა უშველოს

გერმანული გამოცემის ბილდის ინფორმაციით, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ბილეფილდის არმინიას 64 წლის ორიგ ბერგერმა უნდა უშველოს. კვირას ბილეფილდური გუნდის ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან დაითხოვეს მწვრთნელი მიხაელ ფრონტცეკი. ბოლო ტურში კი გუნდს ბერგერი უხელმძღვანელებს.

ცხადია, თუ ბილეფელდს ბუნდესლიგაში დასარჩენად ორი საპლეიოფო მატჩის გამართვა დასჭირდა (პლეი-ოფები ბუნდესლიგის მე-16 და მეორე ბუნდესლიგის მესამე ადგილზე გასულებს შორის იმართება) ბერგერი გუნდს ამ მატჩებშიც უთავკაცებს.

ის გადამრჩენ მწვრთნელთა მამად ითვლება. თავის დროზე მან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან გადაარჩინა ფრანკფურტის აინტრახტი , კიოლნი და გელზენკირხენის შალკე .

# სამბომ ევროპა მილანში დაასრულა



*მუხლის ტრავმამ ევროპის ჩემპიონატს მიღმა დატოვა მირიან პავლიაშვილი*

*მილანში გამართული სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი (14-16 მაისი) საქართველოს ნაკრებმა მედლებითა და გუნდური მესამე ადგილით დაასრულა.*

თუ ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ევროპის პირველობაზე მედლებს რომ მოიპოვებდნენ, ამაში ეჭვიც არ შეგვპარვია. საქართველოს ნაკრების გამგზავრებამდე ისიც ვთქვით, რომ მილანში ჩვენი გუნდის მთავარი კონკურენტი რუსეთის ნაკრები იქნებოდა. ასეც მოხდა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა რუსებს დარჩათ, მეორე ადგილზე ბელორუსები აღმოჩნდნენ, მესამეზე კი - საქართველოს ნაკრები.

ქართველმა სამბისტებმა ევროპულ სარბიელზე ექვსი მედალი დაისაკუთრეს. ტურნირი წაუგებლად დაამთავრეს უშანგი კუზანაშვილმა (52 კგ.) და დავით სვიმონიშვილმა (62 კგ.) ვერცხლის მედალი მოიპოვა გელა სანიკიძემ (68 კგ.), ბრინჯაო კი - ავთანდილ ცინცაძემ (57 კგ.), მინდია ბოდაველმა (90 კგ.) და ვახტანგ ზოიძემ (მძიმე). საუკეთესო სამეულში ვერ მოხვდნენ გიორგი ბაინდურაშვილი (82 კგ. მე-5 ადგილი) და კახა მამულაშვილი (74 კგ.).

წლეულს არც ერთ ქართველს სპორტის არც ერთ სახეობაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი არ მოუპოვებია. გვიხარია, რომ ეს სამბისტებმა მოვახერხეთ. შედეგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ერთწლიანი პაუზის შემდეგ მივაღწიეთ წარმატებას. შარშან, აგვისტოს მოვლენების გამო, უარი ვთქვით სანკტ-პეტერბურგში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, - ამბობს საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე, - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ წარმატებით დაბრუნება ძალიან ძნელია. თუმცა, მედლები მაინც მოვიპოვეთ. თან ნაკრებს აკლდნენ ევროპის ჩემპიონები ლევან წიკლაური (82 კგ.) და მირიან პავლიაშვილი (100 კგ.). წიკლაური ძიუდოში გადავიდა და ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, პავლიაშვილს კი მუხლის ტრავმა აქვს .

# წარუმატებელი დღე ტოკიოში

ტოკიოში მიმდინარე მაისის ბაშო გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სუმოისტებს გასამართი დარჩათ ხუთ-ხუთი ბრძოლა და სწორედ ეს ხუთი დღე გაარკვევს ყველაფერს. მარტის ბაშოზე, რომელიც ქართველებმა კარგად დაიწყეს, თითქოს ორივეს ჰქონდა ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულების შანსი, მაგრამ ფინიშის სწორზე კოკაიმ და ტოჩინოშინმა ქარს გაატანეს მოპოვებული უპირატესობა და ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულეს.

ცხადია, არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ახლაც ასე მოხდება, თუმცა გუშინდელი დღეს დამაფიქრებელი აღმოჩნდა. დამარცხდა ორივე - კოკაიც და ტოჩინოშინიც. მართალია, ჯერჯერობით საგანგაშო არაფერია, მაგრამ ერთი რამ ნათელია: დარჩენილ ხუთ ტურში ჩვენებურებს წაფორხილების უფლება აღარ აქვთ.



აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაიგაშირას რანგით მოასპარეზე კოკაი დასავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა ჯემასთან ცუკოტიოშის ილეთით დამარცხდა, დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ტოჩინოშინმა კი აღმოსვლეთის მეთერთმეტე მაიგაშირა მიაბიამასთან შიტატენაგეს ილეთით წააგო.

ასპარეზობის ათი დღის შემდეგ კოკაის ხუთი გამარჯვება და ხუთი მარცხი აქვს, ტოჩინოშინს კი - ექვსი მოგება და ოთხი წაგება.

დღეს კოკაის მეტოქე იქნება აღმოსავლეთის მეთხუთმეტე მაიგაშირა შოტენერო, რომელიც ამ ბაშოზე წარმატებით გამოდის - შვიდი ბრძოლა მოიგო, ხოლო თუ დღეს კოკაიც დაამარცხა, დადებით ბალანსს და რეიტინგში წინსვლას დაიბევებს. ტოჩინოშინს კი წინაღმდეგობას გაუწევს დასავლეთის მერვე მაიგაშირა ტამავაში, რომელმაც ათიდან ხუთი ბრძოლა მოიგო.

რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფს, აქ ცვლილებები არ მომხდარა. ასპროცენტიანი მაჩვენებლით ტურნირს იოკოძუნა ჰაკუჰო და ოძეკი ჰარუმაფუჯი ლიდერობენ. მათ ფეხდაფეხ მიჰყვება იოკოძუნა ასოშორიუ. გამოცდილ მონღოლს ცხრა მოგება და ერთი მარცხი აქვს.

# დიეგო არ ნებდება

დღეს სტამბულში, უეფას თასის ფინალურ მატჩში, ბრემენის ვერდერი დონეცკის შახტარს შეხვდება. მუსიკოსთათვის ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს გამოტოვებს გუნდის პირველი ვიოლინო, ბრაზილიელი პლეიმეიკერი დიეგო, რომელმაც ჰამბურგთან გამართულ ნახევარფინალში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ფინალში თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

მიუხედავად ამისა, 24 წლის ფეხბურთელი ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებს თანაგუნდელთა დასახმარებლად. უეფას ვებგვერდის საშუალებით ბრაზილიელმა გულშემატკივართა კითხვებსაც უპასუხა.



*დიეგო ფინალს გამოტოვებს*

**- თქვენი აზრით, რა შანსი აქვს ვერდერს ?**

- ვფიქრობ, საინტერესო ფინალი გველის. სტამბულში ის ორი გუნდი ითამაშებს, რომელებიც ამას იმსახურებდნენ. ამ მატჩში გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს, თუმცა, ვერდერის ყველა ფეხბურთელი მომართულია გამარჯვებაზე. მე ჩემი თანაგუნდელების მჯერა.

**- რა გაიფიქრეთ, როდესაც ჰამბურგთან მატჩში ყვითელი ბარათი მიიღეთ და მიხვდით, რომ ფინალს გამოტოვებდით?**

- ერთი მხრივ, გამიხარდა, რადგან ჩემი გუნდი ფინალში გავიდა. მეორე მხრივ, ეს საშინელი იმედგაცრუება იყო - ჩემი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩის გამოტოვება მომიწევდა. მე მიყვარს ფეხბურთი და ამ სეზონში უეფას თასზე ნათამაშევი ყველა წუთით სიამოვნება მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ასეთი წუთი ჩემთვის ფატალური გამოდგა და ფინალს გამომატოვებინებს.

**- სტამბულში თქვენს გუნდს რითი დაეხმარებით?**

- სტამბულში გუნდთან ერთად გავემგზავრები და შევეცდები, სიტყვით მაინც გავამხნევო ბიჭები. მათთან ერთად მექნება იმის იმედი, რომ გავიმარჯვებთ. დიდ პატივს ვეცმ შახტარს , მაგრამ, ვფიქრობ, უეფას თასს ვერდერი მოიგებს.

**- როგორი ატმოსფერო სუფევს გუნდში ფინალის წინ?**

- მთელ გუნდს სჯერა წარმატების. ჩემი თანაგუნდელები კონცენტრირებული არიან, რათა დაწყებული საქმე სტამბულში დაასრულონ. ყველას კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ევროპული თასის მოგება. ასეთი რამ ხომ არც ისე ხშირად ხდება.

**- ფინალისკენ მიმავალ გზაზე ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?**

- თითოეული ფეხბურთელის მოტივაცია. ყველა ერთ გუნდად შეიკრა. ერთი მიზნისთვის იბრძოდა. ამის შეგრძნება უაღრესად სასიამოვნოა.

**- რით განსხვავდება ვერდერი დანარჩენი გუნდებისგან?**

- ფეხბურთელების ოსტატობით და მეგობრობით. ეს მოედანზეც იგრძნობა.

**- 2006 წლიდან თამაშობთ ვერდერში . რა მიგაჩნიათ ამ ხნის განმავლობაში თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად - 62 მეტრიდან ალემანიას კარში გატანილი გოლი თუ 2006-07 წლებში მოპოვებული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული?**

- ის გოლი ჩემი კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო ეპიზოდად რჩება. ყველაფერი კარგად მახსოვს. მერწმუნეთ, ამის გამეორება შეუძლებელია. საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა, როდესაც შრომა და ფეხბურთისადმი სიყვარული გიფასდება.

**- რას იტყვით კლაუდიო პისაროზე?**

- ნიჭიერი ფეხბურთელი და კარგი პიროვნებაა. მომწონს მასთან ერთად თამაში. ვფიქრობ, გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**- რამდენად რეალურია გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ მომავალ სეზონში იუვენტუსში ითამაშებთ?**

- ჯერჯერობით კონტრაქტი არ გამიფორმებია. ახლა მხოლოდ ამ სეზონში დარჩენილ მატჩებზე ვარ კონცენტრირებული.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ გერმანული კლუბები ევროპაში სათანადოდ არ არიან დაფასებული?**

- არა მგონია, ასე იყოს. გერმანიაში არაერთი ძლიერი კლუბია. ბუნდესლიგის გათამაშება კი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გათამაშებად ითვლება. ვინ გითხრათ, რომ ევროპაში გერმანულ კლუბებს არ აფასებენ?

**- როგორ უმკლავდებით იმ წნეხს, რომელიც თქვენზე მოდის?**

- მე მიყვარს თამაში და წნეხს საერთოდ ვერ ვგრძნობ. მთავარია, რომ ადამიანმა თავისი საქმე კარგად აკეთოს. ფეხბურთელობა ჩვეულებრივი პროფესიაა - თუ ბეჯითად იმუშავებ, წარმატება აუცილებლად მოვა.

**- ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად?**

- აღფრთოვანებული ვარ რონალდოთი. ის სამჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. მერწმუნეთ, ეს ადვილი არ არის.

# როლან გარომდე რეიტინგს გადახედეს

როლან გარომდე — თუ WTA საკუთარ რეიტინგს აქვეყნებს, რომელშიც დიდი გადაადგილებები არ შეინიშნება.

ვაჟთა საუკეთესო ათეულის რეიტინგში მადრიდის მასტერსის მოგებით როჯერ ფედერერმა სარეიტინგო ქულები ჩაიწერა და 700 პუნქტით გაიუმჯობესა ნადალთან ჩამორჩენა. ამის მიუხედავად, რაფას უპირატესობა როჯერთან ჯერ კიდევ შთამბეჭდავია - 4,5 ათასი ქულა.

მოწინავე ათეულში ერთადერთი გადაადგილება ნიკოლაი დავიდენკოსა და გაელ მონფისის დამსახურებაა - ფრანგმა საკუთარი მეათე ადგილი რუსს გაუცვალა.

მცირე ცვლილებები შეეხო ქალთა რეიტინგსაც. რუსმა ელენა დემენტიევამ მეხუთიდან მეოთხე საფეხურზე ისკუპა, პირველ საფეხურზე მყოფმა დინარა საფინამ კი, რომელმაც მადრიდულ მასტერსზე პირველობა არავის დაანება, უახლოეს მდევართან, ამერიკელ სერენა უილიამსთან უპირატესობა 800-დან თითქმის 2000 ქულამდე გაზარდა.

დანიელმა კაროლინა ვოზნიაცკიმ, რომელმაც მადრიდის კორტებზე ფინალი სწორედ საფინასთან დათმო, ათეულს მიღმა დატოვა რუსი ნადეჟდა პეტროვა.



*მასტერსის ფინალში საფინასთან წაგებამ ვოზნიაცკი მეათე საფეხურზე დააწინაურა*

**— რეიტინგი:**

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 14960
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 10470
3. ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) 9020
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 8830
5. ხუან მარტინ დელ პეტრო (არგენტინა) 4830
6. ენდი როდიკი (აშშ) 4220
7. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 4050
8. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 3830
9. ჟო-უილფრედ ცონგა (საფრანგეთი) 3430
10. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 3205

**WTA რეიტინგი:**

1. დინარა საფინა (რუსეთი) 9801
2. სერენა უილიამსი (აშშ) 7838
3. ვინუს უილიამსი (აშშ) 7237
4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6931
5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 6720
6. ვერა ზვონარევა (რუსეთი) 5640
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 5091
8. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) 4892
9. ვიქტორია აზარენკო (ბელორუსი) 4526
10. კაროლინა ვოზნიაცკი (დანია) 4370

## პეტის გარეშე

კიოლნს პორტუგალიელი ნახევარმცველი პეტი გამოაკლდა - შაბათს ჰამბურგთან სტუმრად გამართულ მატჩში ორი ნეკნი გაუტყდა.

ამის გამო ის გუნდს ამ შაბათს ბოხუმთან შინ გასამართ სეზონის უკანასკნელ მატჩში ვერ დაეხმარება.

## გასპერინი დარჩა

იტალიურ კლუბ ჯენოას მომავალი სამი წლის განმავლობაშიც ჯანპიერო გასპერინი გაწვრთნის.

ჯენოას პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ დაადასტურა, რომ კლუბმა სამი წლით გაუგრძელა ხელშეკრულება მთავარ მწვრთნელს.

შემიძლია დავადასტურო, რომ გასპერინიმ კლუბთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, - განაცხადა პრეციოზიმ.

მიმდინარე სეზონში გენუურმა კლუბმა იტალიის ჩემპიონატში კარგად იასპარეზა და ახლა მე-5 ადგილზეა, რითაც მომავალ სეზონში ევროპის თასზე მონაწილეობა გაინაღდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გასპერინის გადაბირებით ტურინის იუვენტუსი იყო დაინტერესებული, მაგრამ მწვრთნელმა სამუშაო ადგილის შეცვლა არ ისურვა.

## ˝ბაიერნი˝ ლიდერების შენარჩუნებას ლამობს

გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტური უაღრესად მნიშვნელოვანია მიუნხენის ბაიერნისთვის . შეიძლება ითქვას, რომ ვან გაალის მომავალი გუნდისთვის ყველაფერი სწორედ ბუნდესლიგის გათამაშების ბოლო ტურში გადაწყდება, როდესაც რეკორდმაისტერები შტუტგარტს დაუპირისპირდებიან. საქმე ისაა, რომ მიუნხენურ გრანდს ჩემპიონობის თეორიული შანსი შერჩა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ბაიერნი შტუტგარტს მოუგებს, ხოლო ვოლფსბურგი საკუთარ მოედანზე ვერდერთან დამარცხდება. ცხადია, ეს ნაკლებად სავარაუდოა, მით უმეტეს, რომ მუსიკოსები დღეს უეფას თასის ფინალში თამაშობენ და ბუნდესლიგის მომავალი ტურისთვის გამოფიტულები იქნებიან.

ჩემპიონობას რომ თავი დავანებოთ, ბაიერნს სხვა საფიქრალიც აქვს. შტუტგარტთან მარცხის შემთხვევაში, ბაიერნი შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაზეც კი ვერ მოხვდეს. მაშინ გუნდი დაკარგავს არა მარტო პრესტიჟულ ტურნირში თამაშის უფლებას, არამედ წამყვან ფეხბურთელებსაც.

## რიბერი - ზიდანის სამიზნე

რიბერის არაერთხელ უთქვამს, რომ თუ ბაიერნი ლიგაში ვერ გავა, მიუნხენს დატოვებს. მისი შეძენა არაერთ ბობოლა კლუბს სწადია, თუმცა ყველაზე რეალური მაინც მადრიდის რეალში გადასვლა ჩანს.

14 ივნისიდან, დიდი ალბათობით, სამეფო კლუბს სათავეში ჩაუდგება ფლორენტინო პერესი, რომლის გუნდში ერთ-ერთი წამყვანი როლი რიბერის ლეგენდარულ თანამემამულეს ზინედინ ზიდანს აკისრია. ზიზუ კი ამთავითვე აცხადებს, რომ რიბერის გადაბირება სურს.

რაც შეეხება ლამს, იმ შემთხვევაში, თუ ბაიერნი ულიგოდ დარჩება, ის შეიძლება გადავიდეს ბარსელონაში , რომელთანაც, თუ ბილდს ვერწმუნებით, ის უკვე შეთანხებულიც უნდა იყოს.

## ვასტიჩი ფეხბურთიდან წავიდა

ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის ყოფილმა ნახევარმცველმა, წარმოშობით ხორვატმა ივიცა ვასტიჩმა, რომელსაც გასული წლის სექტემბერში 40 წელი შეუსრულდა, კარიერა დაასრულა.

ვასტიჩი, რომელიც შარშან ივნისში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდა, ვისაც ევროპის ჩემპიონატზე გოლი გაუტანია (პოლონეთთან მატჩში მან 38 წლისამ და 257 დღისამ შეაგდო პენალტი), კარიერას ლინცში იწყებდა, ხოლო ცნობილი გახდა გრაცის შტურმში თამაშით. გრაცელთა შემადგენლობაში ის 1994-2002 წლებში გამოდიოდა და ავსტრიის ჩემპიონატში ჩატარებულ 250 მატჩში 124-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

ვასტიჩმა ავსტრიის ნაკრებში 50 მატჩი გამართა და 14 გოლი მიითვალა. მან ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ოთხჯერ თასს დაეუფლა და ამდენჯერვე ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ბოლო ოთხი სეზონი ის ლინცის ღირსებას იცავდა და 94 მატჩში 55-ჯერ გამოიჩინა თავი.





## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

24 საათი The New York Times Articles selected for 24 საათი Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

# განცხადება

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**
**სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით**

1. კონკურსის აუცილებელი პირობები:

ა) იჯარით გასაცემი ფართი წარმოადგენს:
- საქართველოს ეროვნული არქივის შენობის (მდებარე: ვაჟა ფშაველას გამზ., N1) 4-სართულიანი ნაწილის სახურავი (ვაჟა ფშაველას გამზირის მხრიდან) - არაუმეტეს 40 გრძივი მეტრისა;
ბ) იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

გ) გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას კონკურსში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები.
დ) განსათავსებელი რეკლამის კონსტრუქციის ფორმა, ზომები და ვიზუალურ-შინაარსობლივი მხარე წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან.
ე) იჯარის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება უნდა გადაიხადოს მეიჯარემ არსებული წესების დაცვით.
ვ) კონკურსის მონაწილემ წინადადებები წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.
ზ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ ფორმით, რომელიც კომისიის მიერ შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება პრეტენდენტს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად.
2. კონკურსანტებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ საკონკურსო კომისიაში დახურული (ბეჭდიანი) კონვერტით. განაცხადშივე უნდა მიუთითონ: იჯარის ვადა; იჯარის ღირებულება თვეში (დღგ-ს ჩათვლით), ლარებში; ასათვისებელი ფართის მოცულობა; თანხმობა კონკურსის აუცილებელ პირობებზე.

3. კონკურსანტების განაცხადი უნდა წარმოდგინონ 2009 წლის 28 მაისის 17.00 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, N1.
საკონტაქტო ტელეფონი: 37-28-02; 895-907020.
საკონტაქტო პირი: გოგიტა ჭეჟია.




## იყიდება!

**რუსული წარმოების "დრაბილკა", აღჭურვილი ტექნიკით.**
**ლიცენზია 80 000 კბ-ზე.**
**მდებარეობს მცხეთის რ-ნი**
**სოფელი ახალი ნიჩბისი.**
**ფასი: 350 000$**
**საკონტაქტო ტელეფონი: 877 24 44 84, ირაკლი**

# განცხადება
## ტენდერის შედეგების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2009 წლის 24 თებერვალს გაზეთ "24 საათში" (N64) მედიკამენტების, ლაბორატორიული რეაქტივებისა და ლაბორატორიული დანიშნულების საგნების შესყიდვის უზრუნველსაყოფად (სახელმწიფო ბიუჯეტით) გამოცხადებულ საერთაშორისო ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სატენდერო ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ პრეტენდენტებთან: **შპს "ავერი-გეოფარმი"** - (ლოტიN2; ლოტიN9; ლოტიN13; ლოტიN17; ლოტიN18; ლოტიN26; ლოტიN29; ლოტიN37; ლოტიN41; ლოტიN44; ლოტიN45; ლოტიN47; ლოტიN53; ლოტიN58; ლოტიN61; ლოტიN63; ლოტიN64; ლოტიN71; ლოტიN73; ლოტიN75; ლოტიN78; ლოტიN80; ლოტიN83; ლოტიN84; ლოტიN85; ლოტიN90; ლოტიN92; ლოტიN93; ლოტიN96; ლოტიN97; ლოტიN99; ლოტიN100; ლოტიN101; ლოტიN106; ლოტიN107; ლოტიN108) - **ხელშეკრულება N141** 08.05.09წ; **სს "ჯი-პი-სი"** - (ლოტიN20; ლოტიN52; ლოტიN55; ლოტიN77; ლოტიN116; ლოტიN120) - **ხელშეკრულება N142** 08.05.09წ; **შპს "გლობალ ფარმი"** - (ლოტიN4; ლოტიN8; ლოტიN14; ლოტიN22; ლოტიN24; ლოტიN39; ლოტიN40; ლოტიN42; ლოტიN54; ლოტიN69; ლოტიN86) **- ხელშეკრულება N143** 08.05.09წ; **სს "კომპანია "მედინსერვი"** (ლოტიN5; ლოტიN21; ლოტიN34; ლოტიN35; ლოტიN48; ლოტიN94; ლოტიN95) - **ხელშეკრულება N144** 08.05.09წ; **შპს "ვიტ ჯორჯია ფარმი"** - (ლოტიN11; ლოტიN12) - **ხელშეკრულება N145** 08.05.09წ; **შპს "ივერმედი"** - (ლოტიN118) - **ხელშეკრულება N146** 08.05.09წ; **შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია"** - (ლოტიN6; ლოტიN19; ლოტიN43; ლოტიN49; ლოტიN50; ლოტიN56; ლოტიN60; ლოტიN67; ლოტიN82) - **ხელშეკრულება N147** 08.05.09წ; **შპს "პრიმამედი"** - (ლოტიN114) - **ხელშეკრულება N148** 08.05.09წ.

**სატენდერო კომისია**

# ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. 2009 წლის 20 მაისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად :
ა) ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
ბ) კულტურისა და რელიგიის კვლევების მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა ( შევსებული);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;
დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა ( სილაბუსი);
ზ) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დისციპლინის სწავლების კონცეფცია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;
თ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;
